MES 1 20 00402716

22/05/2020

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 08.05.2020
სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 18:22 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: ირაკლი ბურდული
სხდომის მდივანი: ნიკა თიკანაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ირაკლი ბურდული** - სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი-საბჭოს თავმჯდომარე;

2. **დიმიტრი გეგენავა** - შპს „სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის" აფილირებული ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

3. **ნიკოლოზ კიკნაძე** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის" სადოქტორო პროგრამის სტუდენტი-საბჭოს მდივანი;

4. **მანანა კველიშვილი** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

5. **ნინო დობორჯგინიძე** - სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე;

6. **თამარ ტუფინაშვილი** - შპს „საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის“ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

7. **გურანდა ჭელიძე** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ აფილირებული პროფესორი;

8. **პაატა ბრეკაშვილი** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ აფილირებული პროფესორი, ამავე უნივერსიტეტის სადოქტორო სკოლის დეკანი;

9. **გიორგი თურქია** - ა(ა)იპ საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) პროფესორი, ბიზნესის მიმართულების ხელმძღვანელი;

10. **ირმა წერეთელი** - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მრჩეველი;

11. **ნიკა თიკანაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი;

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	სოფიკოქურასბედიანი	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი
2	მარიამ გრიგალაშვილი	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი
3	ქეთევან თელია	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი
4	ქრისტინე აბულაძე	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი
5	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1	ირმა ინაშვილი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	I- II

2	რუსუდან ქუთათელაძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი	I- II
3	ნინო ჩიკვილაძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროგრსორი	I- II
4	რატი ბურდიაშვილი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი	I
5	გიორგი ცაავა	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი	I
6	ლალი გვენეტაძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი	I
7	მაია ჩეჩელაშვილი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი	II
8	ხათუნა ხალხელაური	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი	II
9	დავით ბიბიჩაძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი	II

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	მაია ბარამიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	ლევან გოგოლაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	გიორგი აბულაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
4	ლარისა პატარაია	(ჩაერთო „ზუმით“)	II
5	სოფიო ხუნდაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
6	გიგი გიოშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 272-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავჯდომარემ ირაკლი ბურდულმა.

საბჭოს თავჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 272-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 275-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, აკრედიტაციის დებულების 272 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, საბჭოს მდივნის ფუნქციის შესრულება დაეკისრა საბჭოს წევრს ნიკა თიკანაშვილს.

საბჭოს თავჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საბანკო პროცესების მართვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

2. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

3. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

4. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფინანსები და საბანკო საქმის“ სამაგისტრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

5. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის „ისტორიის“ საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

6. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის „ქართული ფილოლოგიის“ საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

7. ა(ა)იპ ჯიპა საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის„ აუდიოვიზუალური და მედია ხელოვნების“ საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

8. სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის „კულტურული ტურიზმის“ საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

9. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერიძის სასწავლო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

10. შპს სულხან - საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "საბანკო პროცესების მართვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

2. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

3. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

4. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფინანსები და საბანკო საქმის“ სამაგისტრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

5. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის „ისტორიის“ საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

6. ა(ა)იპ ჯიპა საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის„ აუდიოვიზუალური და მედია ხელოვნების“ საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

7. სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის „კულტურული ტურიზმის“ საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

8. შპს სულხან - საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საბანკო პროცესების მართვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საბანკო პროცესების მართვა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტირებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	2019 წლის 25 იანვარი N32
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი ფინანსებში
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
11	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი, 0160, მ. კოსტავას 1., N77, სასწავლო კორპუსი N6
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- კი

საბჭოს წევრმა დიმიტრი გეგენავამ განაცხადა თვითაცილება.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობის არსებობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, რათა მათ დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, დაწესებულების მიერ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე შემუშავებულ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.
საბჭოს თავჯდომარემ სთხოვა ექსპერტებს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტთა პოზიციის განხილვა

ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარემ მაია ბარამიძემ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ რეკომენდაციების თანახმად: საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მისანიჭებელი კვალიფიკაციების კომპეტენციების შესაბამისობის გასაუმჯობესებლად მიზანშეწონილია საგნების კონცენტრაციების გაძლიერება ფინანსებისა და მენეჯმენტის მიმართულებით; კურიკულუმის რუკაში ზოგ შემთხვევაში დარღვეული იყო ბმა სასწავლო კურსებსა და სწავლის შედეგებს შორის და რეკომენდირებულია აღნიშნული რუკის დაზუსტება და შესაბამისობაში მოყვანა; სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების შედეგების მისაღწევად და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან შესაბამისობის გასაძლიერებლად აუცილებელია საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურისა და შინაარსის შემდგომი გადამუშავება, არსებული სასწავლო კურსების გადახედვა, გაღრმავება, ისეთი საკითხებითა და თემებით, როგორიც არის ფინანსური ანალიზი და პროგნოზირება, ფინანსური ინსტიტუტების მართვა, სტრატეგიული მენეჯმენტი, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები და მენეჯერული ეკონომიკა. გარდა ამისა, ექსპერტის თქმით, მათი რეკომენდაციები მოიცავს იმას, რომ საჭიროა გადაიხედოს ზოგიერთი საგნის სილაბუსი. მაგალითად, საბანკო ლოჯისტიკა და რისკოლოგია, რათა მოხდეს საბანკო, საფინანსო სექტორის თანამედროვე გამოწვევებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა. ექსპერტის თქმით, რეკომენდირებულია კურიკულუმის რუკის დაზუსტება. ასევე, სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამამ შეიმუშაოს სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი, რომელშიც გაიწერება სამაგისტრო ნაშრომის მიზანი, შედეგები, მეთოდები, სამაგისტრო ნაშრომის თემის შერჩევის და ხელმძღვანელისა და რეცენზენტის გამოყოფის პროცესი კონკრეტული პროგრამისთვის, სამაგისტრო ნაშრომების გაფორმების ინსტრუქცია, ნაშრომის დაცვის და შეფასების მექანიზმი. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სასურველია დაინერგოს სამაგისტრო ნაშრომების პლაგიატზე შემოწმების პრაქტიკა სათანადო პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით. მისი თქმით, აუცილებელია სტუდენტების საერთაშორისო სხვადასხვა ტიპის ღონისძიებებში ჩართულობის და საერთაშორისო მობილობის გაზრდა, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებას ინტერნაციონალიზაციის კონტექსტში, რისთვისაც საჭიროა ინფორმაციის მიწოდების გზების მოდიფიცირება და სტუდენტების მოტივაციის ამაღლება მათი მეტი აქტიურობისთვის. რეკომენდირებულია, სტუდენტური პორტფოლიოების საგანმანათლებლო პროგრამაზე მორგება ან სხვა მექანიზმების შემუშავება მაგისტრანტების დასაქმების უზრუნველსაყოფად მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად. რეკომენდირებულია, ღონისძიებების გატარება, რაშიც მოისაზრება დაფინანსებაც, აკადემიური, მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის და მოტივაციის გაძლიერების მიზნით, რათა გაიზარდოს საერთაშრისო პროექტებში ჩართულობა და

რეფერირებად ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიების რაოდენობა. ექსპერტმა აღნიშნა, რომ 2018 წლის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციებისა და რჩევების საფუძველზე სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "საბანკო პროცესების მართვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გახორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილებები, კერძოდ, მოხდა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების ხელახალი ფორმულირება, შემცირდა სწავლის შედეგების რაოდენობა, ისინი გახდა გაზომვადი და შეფასებადი, შემუშავდა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების დამაკავშირებელი რუკა, რომელიც მანამდე არ არსებობდა, დაიგეგმა და უკვე ხორციელდება ღონისძიებები სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად დადგენილი სამიზნე ნიშნულების მიხედვით, რასაც სისტემატური და რეგულარული სახე ექნება. ექსპერტის თქმით ცვლილებები განხორციელდა მე - 2 სტანდარტთან დაკავშირებითაც, კერძოდ, საგანმანათლებლო პროგრამის დაშვების წინაპირობად განისაზღვრა ინგლისური ენის ცოდნა B2 დონეზე, საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურამ და შინაარსმა განიცადა მნიშვნელოვანი ცვლილებები, ძირითად და არჩევით კურსებს დაემატა შემდეგი საგნები: ფინანსური პოლიტიკის სტრატეგიები, ადამიანური რესურსების მენეჯმენტი, შედარებითი საკორპორაციო სამართალი, ფინანსური სისტემების მართვა, საერთაშორისო სადაზღვეო ბიზნესი. ასევე, მისი თქმით, კვლევითი კომპონენტი შემცირდა 30 კრედიტამდე, რის ხარჯზეც გაიზარდა აღნიშნული სასწავლო კურსების რაოდენობა. არსებულ პროფესიულ პრაქტიკას სესხების შეფასება, სესხის გაცემის კრიტერიუმები და სასესხო პროდუქტის ადმინისტრირება დაემატა საწარმო პრაქტიკა ბიზნეს - ადმინისტრირების მიმართულებით და შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთათვის მისანიჭებელი კვალიფიკაცია ბიზნეს ადმინისტრირების მაგისტრი ფინანსებში მეტად დაახლოვდა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებთან, შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. ექსპერტის თქმით, შემუშავდა სწავლის შედეგების, საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებთან და სასწავლო კურსებთან შესაბამისობის რუკები, ასევე, დაწესებულებამ შეიძინა პროგრამული უზრუნველყოფა, რითაც სამაგისტრო ნაშრომების პლაგიატზე შემოწმება იგეგმება. გარდა ამისა, ცვლილებები განხორციელდა სხვა სტანდარტებთან მიმართებითაც, რისი დეტალიზებაც მოცემულია დასკვნაში. ექსპერტმა შეჯამების სახით თქვა, რომ მაქსიმალურად არის გათვალისწინებული წინა აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციები, საგანმანათლებლო პროგრამამ ამ მოკლე პერიოდში განიცადა მნიშვნელოვანი ცვლილებები, დარჩა ხარვეზებიც, რომელზეც აგრძელებენ არსებობას, უკვე განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე ის ფიქრობს, რომ დარჩენილი რეკომენდაციები, რომელიც მათი ჯგუფის მიერ იქნა გაცემული უმოკლეს დროში გამოსწორდება.

დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ექსპერტებს, რომ წინა აკრედიტაციის პერიოდში გაცემული რეკომენდაციები სრულად და მაქსიმალურად იქნა გათვალისწინებული, რამაც გავლენა მოახდინა საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხზე, თუმცა მიუხედავად ამისა, მათ აქვთ თავიანთი მოსაზრება, ამ ჯგუფს მიერ გაცემულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით. დაწესებულების წარმომადგენელმა ნინო ჩიკვილაძემ აღნიშნა, რომ სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "საბანკო პროცესების მართვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა წარმატებით ხორციელდება 2012 წლიდან, რისი დასტურიც არის კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებელი. მისი განმარტებით, საგანმანათლებლო პროგრამას აკრედიტაციის პროცესი შეეხო 2018 წელს, 2019 წელს კი მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია და წელიწად ნახევრის განმავლობაში საგანმანათლებლო პროგრამა უნდა ყოფილიყო მოდიფიცირებული. აკრედიტაციის საბჭოს ოქმისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის საფუძველზე მან განიცადა მოდიფიცირება და უკლებლივ ყველა რეკომენდაცია იქნა გათვალისწინებული მოდიფიცირების ფარგლებში, რაც ექსპერტებმა დაადასტურეს უნივერსიტეტში ვიზიტის დროს. დაწესებულების წარმომადგენელმა ყურადღება გაამახვილა საგანმანათლებლო პროგრამის დადებით მხარეზე, საგანმანათლებლო პროგრამას სასწავლო კომპონენტში წარმოდგენილი სასწავლო კურსებიდან 2 ბილინგულია (ორმაგი) ქართულ დ

ინგლისურ ენაზე, ერთი ითვალისწინებს პრაქტიკულ და ლაბორატორიულ მეცადინეობებს, სასწავლო კურსებიდან 5 ითვალისწინებს თემატურ პროექტს, რაც უზრუნველყოფს თეორიული მასალის და პრაქტიკული უნარის გამომუშავებას, ყველა სასწავლო კურსის სილაბუსი შედგენილია აკადემიური თავისუფლების პრინციპის დაცვით. მისი თქმით, საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, მის მოდიფიცირებასა და განვითარებაში ჩართულები არიან როგორც აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ასევე, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და ორგანიზაცია „საქართველოს ბანკების ასოციაცია“. მან აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელია მაღალი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალი არის ამავდროულად კომერციული ბანკების, სადაზღვეო კომპანიის და სხვა დარგის კომპანიის პრაქტიკოსი თანამშრომლები და მათი ჩართულობა საგანმანათლებლო პროგრამაში არის ძალიან ნაყოფიერი. საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ დეპარტამენტთან არსებობს საფინანსო და საბანკო ტექნოლოგიების, სამეცნიერო კვლევითი და სასწავლო ლაბორატორია, სადაც ტარდება შესაბამისი სასწავლო კურსებით განსაზღვრული ლაბორატორიული მეცადინეობები, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ტექნიკით და ტექნოლოგიებით, მათ შორის ბანკის საოპერაციო სისტემით, მასში ინტეგრირებული მოდულები: დეპოზიტები, სესხები, საბარათე ეროვნულ ბანკთან ურთიერთობის მოდულები. სტუდენტებს შეუძლიათ დამოუკიდებლად ჩაატარონ საბანკო სფეროში არსებული აბსოლიტურად ყველა ოპერაცია, ისეთი სტუდენტებისთვის, რომლებიც უკვე მუშაობენ სხვადასხვა კომპანიებში შეთავაზებული აქვთ ინდივიდუალური სასწავლო გრაფიკი. მისი თქმით, დაწესებულებას აქვს მუდმივად განახლებადი წიგნადი ფონდი, რომელთა ნაწილიც განთავსებულია ელექტრონული ვერსიის სახით ლაბორატორიის ვებ - გვერდზე და სტუდენტს აქვს წვდომა ამ სახელმძღვანელოებზე ნებისმიერი ადგილიდან. სასწავლო და კვლევით კომპონენტებთან დაკავშირებულ ცვლილებებს რაც შეეხება, მან თქვა, რომ განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურის არქიტექტურის ცვლილება, მას დაემატა დანართი 1 და დანართი 2 სახით საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების რუკა, სადაც ის აღწერს იმ ცოდნასა და უნარებს, რასაც სტუდენტი იძენს საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებისას, აგრეთვე, საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა, სადაც მიზნები ასახავს რა ცოდნის უნარებსა და კომპეტენციებს შეიძენს კურსდამთავრებული. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას და ანალიზს, შეფასების შედეგები კი რა თქმა უნდა გამოიყენება საგანმანათლებლო პროგრამის გასაუმჯობესებლად, რაც დასტურდება თვითშეფასების ანგარიშთან თანდართულ დოკუმენტაციაში. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის ბოლო მოდიფიცირების დროს დაშვების წინაპირობად განისაზღვრა ინგლისური ენის B2 დონე, შეიცვალა კვლევითი კომპონენტის კრედიტის რაოდენობა, შემცირდა 30 კრედიტამდე, რამაც გამოიწვია იმ სასწავლო კურსების დამატება, რომელიც ექსპერტმა აღნიშნა. ასევე, გაიზარდა ბიზნეს კვლევის სამაგისტრო კურსი, რომელიც უზრუნველყოფს სამაგისტრო ნაშრომში კვლევის მეთოდებისა და მეთოდოლოგიების უზრუნველყოფას. მისი თქმით, სამაგისტრო პროგრამაში გაიზარდა არჩევითი კომპონენტი 3 დან 7 სასწავლო კურსამდე, დამატებულია ახალი არჩევითი კურსები ფინანსური სისტემების მართვა და საერთაშორისო სადაზღვეო ბიზნესი. კვლევითი კომპონენტის, სამაგისტრო ნაშრომის, შესრულებას და დაცვას წინაპირობად განესაზღვრა მთლიანად საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ყველა სასწავლო კურსი 90 კრედიტის სახით, გაფართოვდა პრაქტიკის ობიექტების არეალი, რის ფარგლებშიც არსებულს დაემატა საწარმოო პრაქტიკა ბიზნეს ადმინისტრირების სფეროში. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, აკრედიტაციის ექსპერტების ოქმის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ფარგლებში გათვალისწინებულ იქნა სხვადასხვა ღონისძიებები, რომელიც თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილია შესაბამისი მტკიცებულებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა რატი ბურდიაშვილმა საბჭოს წევრებს 1.1 ქვესტანდარტთან

დაკავშირებით მოახსენა, რომ ექსპერტების დასკვნაში მითითებულია, რომ საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიასთან და სტრატეგიულ გეგმასთან, ის ლოგიკურად უკავშირდება საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებს, რაც დასტურდება საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკით. მისი თქმით, წარმოდგენილი მოსაზრება რჩევის სახით უნდა იყოს განხილული, საგანმანათლებლო პროგრამის 90 კრედიტიდან 62 კრედიტი წარმოდგენილია არასაბანკო მიმართულების მქონე საგნებით, მხოლოდ 28 კრედიტი უჭირავს საბანკო სფეროსთვის დამახასიათებელ სასწავლო კურსებს. აღნიშნულ 62 კრედიტში შედის: კომუნიკაციების სტრატეგიების საგანი, პროფესიული ტექსტის რეფერირების საგანი, ბიზნეს პროცესების ინჟინერიისა და მენეჯმენტის საგანი, ბიზნესის კვლევის მეთოდების საგანი, რისკოლოგიის საგანი, კორპორაციული ფინანსების საგანი, ადამიანი რესურსების სტრატეგიული მენეჯმენტის საგანი, ფინანსური პოლიტიკის სტრატეგიის საგანი, შედარებითი საკორპორაციო სამართლის საგანი, საწარმოო პრაქტიკა ბიზნეს ადმინისტრირებაში, ასევე, არჩევით კურსებში სტუდენტებს სთავაზობენ ეკონომიკას, ეკონომეტრიკას, გეოეკონომიკას, ფინანსური ინჟინერიის, ფინანსური სისტემების მართვას და საერთაშორისო სადაზღვეო ბიზნესს. მისი მოსაზრებით სასწავლო კურსთა ერთობლიობა იძლევა იმის საშუალებას, რომ საგანმანათლებლო პროგრამა გავიდეს კვალიფიკაციაზე და სწავლის შედეგები შესაბამისია კვალიფიკაციის აღმწერის. დაწესებულების წარმომადგენელმა მიუთითა, რომ ექსპერტები აღნიშნავენ დასკვნაში, რომ ფინანსური ინსტიტუტების მართვას უფრო მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს, რაზეც განმარტა, რომ ეს საკითხები წარმოდგენილია სასწავლო კურს საბანკო მენეჯმენტში, საერთაშორისო სადაზღვეო ბიზნესში და ფინანსური სისტემებს მართვაში. ასევე, სტრატეგიულ მენეჯმენტთან დაკავშირებით თქვა, რომ ის წარმოდგენილია ბიზნესის პროცესების ინჟინერიასა და მენეჯმენტში, კომუნიკაციების სტრატეგიებში, ადამიანის რესურსების სტრატეგიულ მენეჯმენტში. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესწავლასთან დაკავშირებით, მან თქვა, რომ მათი სილაბუსი ისეა შედგენილი, რომ ის არ არის დაკავშირებული რომელიმე წლის რედაქციასთან და ყოველი განახლებული სტანდარტი, თუ ეს ეხება საბანკო სფეროს შესაბამისად სილაბუსში სიახლის სახით ჩნდება, მიმდინარე პერიოდში არსებული სტანდარტებით ხორციელდება მათი შესწავლა. შესაბამისად, ის თვლის, რომ 1.1 ქვესტანდარტი შესაბამისია აკრედიტაციის მოთხოვნებთან, ანუ პირველი სტანდარტი შესაბამისია მოთხოვნებთან. რაც შეეხება 2.2 ქვესტანდარტს ექსპერტები აღნიშნავენ დასკვნაში, რომ რეკომენდირებულია გაფართოვდეს ფინანსური ანალიზების და პროგნოზირების საკითხების შესწავლა, არა მხოლოდ საბანკო სექტორის მიმართულებით, არამედ სხვა რეალური სექტორის მიმართულებითაც, რაზეც მან უპასუხა, რომ მათ წარმოდგენილი აქვთ სასწავლო კურსი კორპორაციული ფინანსები, საიდანაც 11 საკითხი ეთმობა ფინანსურ ანალიზს და პროგნოზირებას.

დაწესებულების წარმომადგენელმა ლილი გვენეტაძემ აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილი რეკომენდაცია, რომელიც ეხება ფინანსური ანალიზის თემის გაფართოებას არის ძალიან მნიშვნელოვანი და ეტაპობრივად განხორციელდება, საქართველოში ფინანსური სექტორი წარმოდგენილია ფინანსური ინსტიტუტები, სადაც მონოპოლიური ადგილი საბანკო სექტორს უჭირავს, აქედან გამომდინარე, ეს საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს არჩევით სასწავლო კურს კომერციული ბანკების საქმიანობის ფინანსურ ანალიზს, შესაბამისად, უნდა მოხდეს ფინანსური ანალიზის თემის შესწავლის ეტაპობრივი გაფართოება, რაც შეეხება ეკონომიკური სექტორის ბიზნეს ორგანიზაციებს, მას მიაჩნია, რომ ისინი კორპორაციულ მართვას უნდა ექვემდებარებოდეს, რომლის საფუძველს კორპორაციული საფუძვლები წარმოადგენს. მან აღნიშნა, რომ საქართველოში კორპორაციული მართვა სუსტად არის განვითარებული, ფინანსური გადაწყვეტილების მიღება კი მოითხოვს ფინანსურ ანგარიშს, გამომდინარე აქედან, მას მიაჩნია, რომ ამ ეტაპზე სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებულია 6 კრედიტიანი სასწავლო კურსი კორპორაციული ფინანსები, რომელიც თემატური პროექტით არის წარმოდგენილი და პასუხობს მიმდინარე მოთხოვნებს, სასწავლო კურსის პროგრამაში 11 თემა პირდაპირ თუ არა პირდაპირ უკავშირდება კორპორაციების ფინანსურ ანალიზს, რაც

შეეხება თემატურ პროექტს, სტუდენტების მიერ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის შეფასება ხდება ფინანსური ანალიზის საფუძველზე. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მისი მოსაზრებით მართებული იქნება თუკი ფინანსური ანალიზის სწავლების გაფართოების შესახებ წარმოდგენილ რეკომენდაციას დაუკავშირებენ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში მიმდინარე ცვლილებებს და ის განხილული იქნება, როგორც რჩევა და საგანმანათლებლო პროგრამის შემდგომი განვითარების პროცესში იქნება გამოყენებული.

დაწესებულების წარმომადგენელმა რატი ბურდიაშვილმა სთხოვა გიორგი ცაავას ესაუბრა სილაბუსების გადახედვის რეკომენდაციის შესახებ, სადაც საუბარი იყო საბანკო ლოჯისტიკისა და რისკოლოგიის სილაბუსზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა გიორგი ცაავამ აღნიშნა, რომ საბანკო და საფინანსო ტექნოლოგიების საბაკალავრო საფეხურზე ისწავლება რისკების მართვის საფუძვლების სასწავლო კურსი, შესაბამისად, ისინი სამაგისტრო საფეხურზე არ შემოფარგლეს მხოლოდ ფინანსური რისკებით და ერთობლივად განიხილეს ეკონომიკური, ფინანსური, საბანკო საკრედიტო რისკები, მათ შორის საბაზო რისკი, ლიკვიდობის რისკი, საოპერაციო, საკრედიტო, ქვეყნიური, რეგიონული, დარგობრივი, კლიენტური, სამეწარმეო, საგადასახდო, ლიზინგური, პროექტებისა და უზრუნველყოფის რისკები. მისი განმარტებით, 15 სალექციო მასალიდან 10 - ში ეს რისკებია მიმოხილული. ასევე, მე - 3 სალექციო მასალაში განხილულია ბანკების მიერ გაცემული სესხების, ვადა გადაცილების კლასიფიცირება, ჩასმულია შესაბამისი თემატური პროექტი, მე - 11 სალექციო საკითხი ეხება სამშენებლო ენერგო გასაღებითი და სავაჭრო, სამრეწველო ჯგუფებს, კომპანიების რისკების განხილვას, მე - 14 სალექციო მასალაში დევს რისკების შეფასების მოდელები. შესაბამისად, მას მიაჩნია, რომ სასწავლო კურსით შეისწავლება ყველა ის რისკი, რომელიც აუცილებელია ფინანსებში ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხის მქონე სპეციალისტებისათვის. გამომდინარე აქედან, ის თვლის, რომ 2.2 ქვესტანდარტი შესაბამისია მოთხოვნებთან.

დაწესებულების წარმომადგენელმა რატი ბურდიაშვილმა 2.4 ქვესტანდარტთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სამაგისტრო ნაშრომის შესრულება და დაცვა ხორციელდება სამაგისტრო დებულებით, სადაც ჩამოყალიბებულია ყველა ზემოთ თქმული რეკომენდაცია: ნაშრომის მიზანი, შედეგები, მეთოდები, სამაგისტრო ნაშრომის თემის შერჩევის ხელმძღვანელისა და რეცენზენტის გამოყოფის პროცესი, სამაგისტრო ნაშრომის გაფორმების ინსტრუქცია, ნაშრომის დაცვისა და შეფასების მექანიზმი. ასევე, პლაგიატზე დანერგილია და უკვე მოქმედებს სამეცნიერო ნაშრომების პლაგიატზე არსებობის შემოწმების წესი, სადაც არა მხოლოდ სადოქტორო ნაშრომები არამედ სამაგისტრო ნაშრომებიც არის ჩართული, დაცვის წინაპირობა არის ანტიპლაგიატის სისტემაში ნაშრომის შემოწმება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ის თვლის, რომ 2.2 და 2.3 ქვესტანდარტი შეესაბამება მოთხოვნებს და მთლიანად მე - 2 სტანდარტი შეესაბამება მოთხოვნებს.

საბჭოს წევრმა გიორგი თურქიამ ექსპერტებს სთხოვა ესაუბრა უფრო დეტალურად გარკვეული საგნების ჩამატებაზე, რა თემები დაიცვეს სტუდენტებმა, ასევე, უნივერსიტეტის წარმომადგენლებს ჰკითხა, თუ როგორ ამოწმებდნენ ისინი ტექნიკურად სამაგისტრო ნაშრომებს, თუ პრაქტიკული სამაგისტრო ნაშრომებია. მისი თქმით, მას სადისერტაციო, გამოქვეყნებული სტატიების, სახელმძღვანელოების შემოწმება პლაგიატზე გაუგია, თუმცა, არა პრაქტიკული ნაშრომის.

ექსპერტმა პლაგიატთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ზოგადად პროგრამული უზრუნველყოფა შეძენილია, თუმცა იმ მომენტში, როდესაც ისინი დაწესებულებაში ვიზიტით იყვნენ ინტერვიუების შედეგად დადასტურდა, რომ არ ხდებოდა სამაგისტრო ნაშრომებს შემოწმება.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ საექსპერტო შემოწმების დროს მოხდა სილაბუსების შემოწმება მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან, შინაარსის გაანალიზება, რაც შეეხება საგნებს, ვინაიდან მისანიჭებელი კვალიფიკაცია არის ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი ფინანსებში, მათთვის თვალში მოსახვედრი იყო საბანკო საგნების სიჭარბე, სადაც შესაძლებელი იყო მათი განზოგადება. ექსპერტებმა მიუთითეს მაგალითად, ანგარიშგების სტანდარტები, IFRS

სტანდარტები, ანგარიშგება საბანკო საქმეში, ექსპერტებს გაუჩნდათ განცდა, რომ IFRS სტანდარტები მხოლოდ საბანკო მიმართულებით არ უნდა ისწავლებოდეს, უნდა ისწავლებოდეს სხვა საწარმოსთვისაც. ფინანსური პროგნოზირება და ფინანსური ანალიზის საგანს რაც შეეხება ის ასახულია კორპორაციულ ფინანსებში, ის მოიცავს მომავალი ფულადი ღირებულების განსაზღვრას და პროგნოზირებას, თუმცა ფინანსური ანალიზი ნაკლებად იფარება სხვა საწარმოებისთვის. რაც შეეხება რისკოლოგიას, მასში მოცემულია საბაზრო ლიკვიდობის რისკოლოგია, მიუხედავად იმისა, რომ საგნის სათაურში საბანკო არ ფიგურირებს ის არის საბანკო რისკოლოგიის საგანი, რადგან 15 დან 11 საკითხი ეთმობა საბანკო რისკებს. გარდა ამისა, ორგანიზაციულ სტრატეგიასთან დაკავშირებით სასურველია ცალკე საგნად გამოყოფა და კომუნიკაციების სტრატეგიაში და ადამიანის მართვის მენეჯმენტში არის ეს საკითხი მოცემული, თუმცა ის ფიქრობs, რომ ორგანიზაციულ სტრატეგიას ის ვერ დაფარავს.

ექსპერტმა ასევე, თქვა, რომ მათ შეამოწმეს სამაგისტრო ნაშრომები, ისინი შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის კვალიფიკაციას, თუმცა სასურველია ცალკე არსებობდეს სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი. რაც შეეხება ნაშრომებს, მათ ნახეს მაღალი და დაბალი შეფასების მქონე ნაშრომები, ვიზიტისას ექსპერტებმა მისცეს შენიშვნები თემის ხელმძღვანელებს გარკვეულ ნიუანსებთან დაკავშირებით. სამაგისტრო ნაშრომები მთელი ბიზნესის სპექტრს მოიცავს.

დაწესებულების წარმომადგენელმა პლაგიატთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ აკადემიურ საბჭოში მოქმედებს სამეცნიერო ნაშრომების პლაგიატის არსებობაზე შემოწმების წესი, სადაც დეტალურად არის მოცემული ზოგადი დებულებები, ტერმინთა განმარტებები, გადაწყვეტილების მიღება, ნაშრომის პლაგიატზე შემოწმება, აპელაცია, გარეშე პირების მომსახურება, ხელშეკრულების ნიმუში. ზოგადად, პლაგიატზე შემოწმება გახდა სავალდებულო და ყველა ნაშრომი მოწმდება პლაგიატის უზრუნველყოფის პროგრამაში, ვებ პლატფორმაზე ნელ - ნელა იტვირთება ყველა ნაშრომი.

საბჭოს წევრმა განმარტა, რომ ყველა სამაგისტრო ნაშრომი საქართველოს მასშტაბით უნდა იყოს ატვირთული.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ შესყიდულია პლაგიატის პროგრამა.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბანკო საგნების ზედოზირებასთან დაკავშირებით თქვა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურის შედგენისას, ისინი დაეყრდნენ ძირითად დაშვებას, რომ კარგი ბანკირი არის იმავდროულად კარგი ფინანსისტი, ხოლო კარგი ფინანსისტი შეიძლება არ იყოს კარგი ბანკირი. ბანკების აქტივების უდიდესი ნაწილი 2/3 წარმოდგენილი გაცემული სესხების სახით და მოგება/ზარალის უწყისშიც შემოსავლების უდიდესი ნაწილი უკავია საპროცენტო შემოსავლებს. მისი თქმით ბანკირი პასუხისმგებელია, რომ სესხის გაცემისას არანაკლებ იმ ორგანიზაციის მენეჯერისა იცოდეს ამ კომპანიის ფინანსური მდგომარეობა. ეს ხდება იმის გამო, რომ სესხის დაუბრუნლობის გამო, ბანკს მისი ჩამოწერა მოუწევს, შესაბამისად, საბანკო საგნების შესწავლა კურსდამთავრებულებს უფრო მეტად აძლიერებს, რომ მან არა მხოლოდ საბანკო სექტორში დაიწყოს მუშაობა, არამედ სხვა კომპანიაში ფინანსურ მენეჯერადაც. მისი განმარტებით, საბანკო სფეროს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, ბანკირები ვალდებულები არიან იმ კომპანიის ფინანსურ მენეჯმენტზე მეტად იცოდნენ კომპანიის ფინანსური მდგომარეობა. საბანკო საქმე ჩვეულებრივი ბიზნესია, ფინანსური საქმიანობა, კურსდამთავრებულმა ამ მნიშვნელოვანი რგოლის საქმიანობა უნდა იცოდეს ძალიან კარგად. რისკოლოგიას რაც შეეხება, მან თქვა, რომ რისკოლოგიის სილაბუსში მათ საოპერაციო რისკები განხილული აქვთ, ყველა რისკს თავისი წონა აქვს სილაბუსში. დღეს, როდესაც ვართ პანდემიის პირობებში და საქმე გვაქვს სოციალური ქვეყნის რისკთან, ეს საკითხი უნდა განიხილონ სტუდენტებთან, ისინი ვერ მოერგებიან სილაბუსში იმ საკითხს თუ რომელი უფრო ტრენდულია იმ მომენტში. ბიზნეს ლოჯისტიკას რაც შეეხება, მან თქვა, რომ საბანკო ბიზნეს აქვს თავისი ლოგიკა, რასაც ისინი ასწავლიან, ბანკი არის ფულის საწარმო, რომელიც ყიდულობს და ყიდის ამ ფულს, ამ პროცესს საბანკო ბიზნესს ლოგისტიკური პროცესი ჰქვია. მე - 9 სტანდარტთან

დაკავშირებით, მან თქვა, რომ სწავლის პროცესის მიმდინარეობისას ახალი რეალიების მიხედვით ხდება სტუდენტებისათვის ცოდნის მიწოდება.
საბჭოს წევრი ნიკოლოზ კიკნაძე დაინტერესდა თუ რატომ გადაწყვიტა დაწესებულების წარმომადგენელმა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ყოფილიყო საბანკო პროცესების მართვა და არა მაგისტრი ფინანსებში. საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ მათ შეაფასეს წინა დასკვნის სტანდარტების შესრულება, ის დაინტერესდა რატომ არ მოხდა დასკვნაში ასახვა თუ განახორციელა ის ღონისძიებები დაწესებულებამ რაც რეკომენდირებული იყო, განსაკუთრებით კვლევითი მეთოდების, სწავლა სწავლების კრიტერიუმების, აკადემიური პერსონალის გადამზადების, სამაგისტრო ნაშრომების საკითხებთან დაკავშირებით.
დაწესებულების წარმომადგენელმა სახელწოდებასთან საბანკო პროცესების მართვასთან დაკავშირებით თქვა, რომ არანაირი ნორმატიული აქტი არ კრძალავს კვალიფიკაციის დასახელებიდან განსხვავებული სახელწოდების დარქმევას, მთავარია ის არ სცილდებოდეს კვალიფიკაციას. მისი თქმით, ეს საგანმანათლებლო პროგრამა ამ სახელწოდებით არსებობს 2012 წლიდან, აქვთ კომუნიკაცია სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან და ამ კუთხით საგანმანათლებლო პროგრამას გარკვეული ნიშა უჭირავს, რასაც ადასტურებს 95% დასაქმებული.
დაწესებულების წარმომადგენელმა საგანმანათლებლო პროგრამის დასახელებასთან დაკავშირებით, რომ 2012 წელს მათ სხვა კვალიფიკაცია ჰქონდათ, აკრედიტაციის საბჭოს ოქმის საფუძველზე კი შეეცვალა კვალიფიკაცია. რაც შეეხება აკადემიური პერსონალი გადამზადებას, უნივერსიტეტში არსებობს პროფესიული გადამზადების ცენტრი, სადაც აკადემიური პერსონალი გადის სხვადასხვა სახის ტრენინგ კურსებს, 2018-2019 წელს მოქმედმა ხელმძღვანელებმა გაიარეს ტრენინგები, რომელიც შეეხებოდა სწავლა სწავლების მეთოდებს, კომუნიკაციას და სწავლის შედეგების შეფასებას.
ექსპერტმა დაადასტურა, რომ მათ ნამდვილად ჰქონდათ აიოვას უნივერსიტეტის პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ტრენინგები, მიმდინარეობს ამ კუთხით მუშაობა. მისი თქმით, მათ გასცეს რჩევა, რომ მეტი დრო დაეთმოთ ხელმძღვანელებს სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში ჩატარებული კვლევის ხარისხისთვის, მისი გაუმჯობესების ღონისძიებისთვის, ასახულიყო კვლევის მეთოდოლოგია უფრო სრულყოფილად, იყო გარკვეული ხარვეზები, თუმცა სამაგისტრო ნაშრომების შემოწმებისას სადაც, ჰქონდათ კარგი ნაშრომებიც და ცუდიც, ზოგიერთ მათგანში მეტ ნაკლებად იყო დაცული ეს მოთხოვნები. ასევე, საგნებთან დაკავშირებით, მან თქვა, რომ რისკოლოგიაში არის სხვადასხვა რისკები მოცემული, თუმცა შესაძლებელია ამ საგნის დასახელების სხვაგვარი ფორმულირება, ყველაზე დიდი რისკი არის საოპერაციო რისკი, რომელიც ზოგადად სწრაფად ცვალებადია გარემოს გამო, სილაბუსის მიხედვით კი მხოლოდ 1 საათი იყო მისთვის დათმობილი. ექსპერტის თქმით, მათ დასკვნაში მეტი აქცენტი გააკეთეს პირველ და მეორე სტანდარტზე, რომელიც უმნიშვნელოვანეს ცვლილებებს მოიცავდა, თუმცა თითოეულ სტანდარტში მოცემულია ის ცვლილებები, რომელიც ასევე, განხორციელდა რეკომენდაციების შედეგად.
საბჭოს წევრი ასევე, დაინტერესდა რა დოკუმენტით რეგულირდებოდა მაგისტრანტის ხელმძღვანელის შერჩევა, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ეს პუნქტი რეგულირდება სამაგისტრო დებულებით.
საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ წინა ექსპერტთა დასკვნით რეკომენდაცია იყო მაგისტრატურის დებულებაში ხელმძღვანელის შერჩევის წესის განსაზღვრა. ექსპერტმა დააზუსტა, რომ სწორედ ამიტომ გასცეს რეკომენდაცია ცალკე სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსის შემუშავების შესახებ. ისინი ხელმძღვანელობენ საუნივერსიტეტო ნორმატიული დოკუმენტებით.
დაწესებულების წარმომადგენელმა თქვა, რომ მაგისტრატურის დებულებაში მკაფიოდ არის გაწერილი, თუ როგორ უნდა მოხდეს ხელმძღვანელის შერჩევა, სწავლების დეპარტამენტი განსაზღვრულ ვადაში აცხადებს ადგილს, ასოცირებული პროფესორი, პროფესორი ან ასისტენტ პროფესორი განსაზღვრავს რამდენი სტუდენტის მომზადება შეუძლია და წარმოადგენს თემას აქტუალურობის მიხედვით, ეს ყველაფერი იხილება დეპარტამენტის სხდომაზე, საიდანაც

გაიცხრილება გარკვეული თემები, შემდეგ წარმოადგენს დეკანატში მათ და დეკანი ამტკიცებს ყველა სპეციალობის მიხედვით პროფესორებსა და თემებს. ამ ყველაფრის შემდეგ სწავლების დეპარტამენტს გადაეცემა ადგილები, დეპარტამენტის სხდომაზე ხდება სტუდენტებთან შეხვედრა და თემების გაცნობა, ისინი კი თავიანთი ინტერესის სფეროდან ირჩევენ თემასა და პროფესორს. სწავლების დეპარტამენტის ვებ - გვერდზე ეს განთავსებულია.

საბჭოს წევრი ასევე, დაინტერესდა პრაქტიკის ობიექტებზე ამ წელიწადნახევარში რა ღონისძიებები გატარდა, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მათ თავიდან პრაქტიკის ხელშეკრულება ჰქონდათ პროფესიულ ორგანიზაციასთან საბანკო სწავლების ცენტრთან, რომლის ფარგლებშიც სტუდენტები გადიოდნენ პრაქტიკას. გარდა ამისა, წინა რეკომენდაციების გათვალისწინებით გააძლიერეს ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულება და სხვადასხვა დარგის კომპანიებიც მოიცვეს. მან თქვა, რომ ვიზიტის დროს, მე-2 კურსელი მაგისტრანტების უმეტესობა გაგზავნილი იყო საქართველოს ბანკში და მათთან არსებობს მემორანდუმი.

საბჭოს წევრი პაატა ბრეკაშვილი დაინტერესდა რამდენად ფიქრობდა ექსპერტთა ჯგუფი თუ იყო შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება მის კვალიფიკაციასთან აბიტურიენტისათვის, რომელმაც უნდა აირჩიოს საგანმანათლებლო პროგრამა. ასევე, სამაგისტრო ნაშრომის ხარისხთან დაკავშირებით, მან თქვა, რომ ამ შემთხვევაში შესაძლებელია ის საერთოდ არ შემოწმდეს ანტი პლაგიატზე, მთავარია რამდენად სწორად დაიგეგმა კვლევის მეთოდოლოგია. მაგალითად, მე-14 თემა არის მოტივაციური ანალიზი, რომელიც შეიძლება საერთოდ ცალკე კურსად არსებობდეს. ის ასევე, დაინტერესდა, რაიმე "სოფტს" თუ იყენებდა სტუდენტი, რადგან ის ანალიტიკოსი, რომელიც უნდა გაიზარდოს სტუდენტი უნდა გამოიყენოს რამდენიმენაირი "სოფტი", ანუ რითი გაიზარდა სამაგისტრო ნაშრომის ხარისხი. გარდა ამისა, დასაქმებასთან დაკავშირებით დაინტერესდა, რა მიმართულებით იყვნენ კურსდამთავრებულები დასაქმებულები და რა პოზიციებზე.

ექსპერტმა საბჭოს წევრს უპასუხა, რომ კვალიფიკაცია და საგანმანათლებლო პროგრამის დასახელებასთან დაკავშირებული კითხვა დაისვა ყველა დაინტერესებულ პირთან, თუ რამდენად შესაბამისი იყო ის ერთმანეთთან. ისინი ნაწილობრივ იზიარებენ რატი ბურდიაშვილის პოზიციას, რომ კარგი ბანკირი არის ამავე დროს კარგი ფინანსისტი. რეკომენდაციების სახით სასურველი იყო გაფართოებულიყო ზოგადფინანსური საგნების წილი.

საბჭოს წევრმა პაატა ბრეკაშვილმა სთხოვა ექსპერტს წარმოედგინა მოსაზრება, საკვალიფიკაციო ჩარჩოში რომ ყოფილიყო, ფინანსური მართვა და ფინანსური მენეჯერი, რეალურად რომელზე უფრო გავიდოდა საგანმანათლებლო პროგრამა, ანუ მას აინტერესებს არსებობდა თუ არა სხვა კვალიფიკაცია საკვალიფიკაციო ჩარჩოში, რომელიც გაიყვანდა ამ საგანმანათლებლო პროგრამას.

ექსპერტმა განმარტა, რომ კვალიფიკაცია არსებობს მაგისტრის ხარისხი საბანკო საქმეში. მისი მოსაზრებით, უმჯობესია ასეთი კვალიფიკაცია ჰქონდეს საგანმანათლებლო პროგრამას, თუმცა ის არგუმენტები, რაც მათ საბჭოზე მოისმინეს მეტ-ნაკლებად მისაღებია, მაგრამ სტრუქტურა და საგნები კიდევ დასახვეწია. რაც შეეხება კვლევებს, მან თქვა, რომ შემოწმებულ სამაგისტრო ნაშრომებში გამოყენებული იყო ეკონომეტრიკული მოდელები, დაბალი ხარისხის მქონე სამაგისტრო ნაშრომებს ჰქონდა ხარვეზები, მათ შორის კვლევის მეთოდოლოგიასთან, რადგან ის ფრაგმენტულად იყო აღწერილი, დანარჩენ შემთხვევებში ეს მეთოდოლოგია მეტ ნაკლებად კარგად იყო აღწერილი.

საბჭოს წევრმა დააზუსტა კითხვა, ფიქრობენ თუ არა ექსპერტები ის კვლევის მეთოდოლოგიის საგანი, რაც არის წარმოდგენილი უნდა მოიცავდეს ეკონომიკურ, ფინანსურ მოდელებს, რაზეც ექსპერტმა თქვა, რომ მათ აქვთ საგნები, თუნდაც ეკონომეტრიკა, სადაც ისინი იყენებენ "სოფტს", მისი თქმით, მან ნახა, "ესპიესის" ჩამონათვალიც ნაშრომში. ის ფიქრობს, რომ ეკონომეტრიკაში სტატისტიკური პროგრამების გამოყენება ჩადებულია.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წევრს უპასუხა, რომ ისინი 2 ათწლეულია თანამშრომლობენ კომპანია ალტას პროგრამულ უზრუნველყოფასთან, რომელიც არის ძირითადი მიმწოდებელი საბანკო სისტემაში, ჩატვირთულია დეპარტამენტთან არსებულ

ლაბორატორიაში, სადაც არის ბანკის საოპერაციო დღე, ოპერაციების კვლევისათვის ამ პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენება სტუდენტს თავისუფლად შეუძლია.
ექსპერტმა დააზუსტა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის საგნის სილაბუსებში იყო მითითებული სხვადასხვა პროგრამული უზრუნველყოფის გაცნობა.
საბჭოს წევრმა გიორგი თურქიამ დააზუსტა, რომ მონაცემების დამუშავებაზე არის საუბარია და არა იმაზე, თუ როგორ ხდება რისკის შეფასება, მომხმარებლის კვლევა და ა. შ, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ეს ყველაფერი ისწავლება საბაკალავრო საფეხურზე, იყენებენ ესპიესესის მეთოდს, რაზეც მაგისტრანტს არ აქვს წვდომა.
დაწესებულების წარმომადგენელმა დამსაქმებლებთან დაკავშირებით, თქვა, რომ მაგისტრანტების 95% არის დასაქმებული, ძირითადად საბანკო სფეროში, 80% მუშაობს სპეციალობით, საშუალო და მაღალი დონის საფეხურზე. ტურისტული კომპანიების ხელმძღვანელები, საფინანსო სექტორის მიმართულებით და ა. შ.

საბჭოს წევრმა თამარ ტუფინაშვილმა აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებში, მიუხედავად განათლების საფეხურისა და პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტისა, არ ჩანს უცხოურ ენაზე კომუნიკაციის უნარი. ასევე, დაინტერესდა პრაქტიკული უნარ-ჩვევების განსავითარებლად რამდენად იყო საკმარისი 5 კრედიტიანი პრაქტიკა და რომელიმე სასწავლო კურსში ხომ არ იყო ჩაშენებული პრაქტიკული კომპონენტი. გარდა ამისა, მან აღნიშნა რომ კურიკულუმის რუკა, რომელიც ასახავს კავშირს სასწავლო კურსებს/კომპონენტებს და პროგრამის სწავლის შედეგებს შორის, უნდა გვაძლევდეს კურიკულუმის ანალიზის და სწავლის შედეგების შეფასების საშუალებას. წარმოდგენილ რუკაში მოცემულია რა დონით (გაცნობა, გაღრმავება, განმტკიცება) ავითარებს თითოეული სასწავლო კურსი პროგრამის სწავლის შედეგს. გამომდინარე იქიდან, რომ სწავლის შედეგების ფორმირება ხდება პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსებით/კომპონენტებით, გაუგებარია არჩევითი კურსების როლი იმ შედეგების განმტკიცებაში, რომლის ფორმირებაში ისინი არ მონაწილეობენ.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ კურიკულუმის რუკა მოიცავს გარკვეულ ხარვეზებს, არ არის ბმა, ყველა არჩევითი საგანი ვერ გავა შედეგზე. შესაბამისად, მათ გასცეს რეკომენდაცია, რომ ეს ყველაფერი არის დასაზუსტებელი. პრაქტიკას რაც შეეხება, კრედიტების რაოდენობა შემცირდა და ზოგიერთ საგანში ჩაშენებულია პრაქტიკა.
დაწესებულების წარმომადგენელმა ინგლისურ ენასთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვასთან დაკავშირებით, აღნიშნა, რომ მათ გაითვალისწინეს რეკომენდაციები და მიღების წინაპირობად განისაზღვრა B2-2 დონე.
საბჭოს წევრმა დააზუსტა, რომ საუბარი ჰქონდაპროგრამის სწავლის შედეგებში უცხოურ ენაზე კომუნიკაციის უნარის ასახვაზე. რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ საგანმანათლებლო პროგრამა არის ქართულენოვანი, მიუხედავად იმისა, რომ 2 სასწავლო კურსი წარმოდგენილი აქვთ ბილინგულად. სტუდენტს საზოგადოებასთან ურთიერთობისას ექნება B2-2 დონეზე კომუნიკაციის უნარი. რაც შეეხება პრაქტიკას, საბაკალავრო და სამაგისტრო დონეზე მათ ბევრი პრაქტიკული უნარის გამომმუშავებელი კურსები აქვთ, მაგალითად ფინანსური ანგარიშგება ბანკში, საბანკო ბიზნეს ლოგისტიკა, ბიზნეს პროცესების მოდელირება და მართვა.
საბჭოს წევრი გიორგი თურქია დაინტერესდა კორპორაციულ ფინანსებთან დაკავშირებით, რატომ არ იყენებდნენ ისინი ინგლისურენოვან სახელმძღვანელოს სარეკომენდაციო ლიტერატურის სახით მაინც, რაზეც დაწესებულების წარომადგენელმა უპასუხა, რომ სილაბუსში მითითებულია ქართულენოვანი ლიტერატურა, თუმცა სალექციო კურსის ფარგლებში ის ამუშავებს მაიერს, ჰორმს, ფილნენდს, თითოეულ სალექციო კურსს მითითებული აქვს ეს ლიტერატურა გვერდების მიხედვით. ის ასევე, მუშაობს ახალ სახელმძღვანელოზე კორპორაციულ ფინანსებთან. მისი თქმით, სტუდენტებისთვის ის იყენებს პირველწყაროს ინგლისურ ენოვან სახელმძღვანელოს.
საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ სასურველია ეს აისახოს დოკუმენტაციაშიც.

საბჭოს წევრი ნიკა თიკანაშვილის თქმით, თვითშეფასების ანგარიშიდან ჩანს, რომ ისინი დაეყრდნენ პრაღის, ვარშავის უნივერსიტეტის გამოცდილებას, ის დაინტერესდა რა მიმართულებით იყო ეს გამოცდილება და თუ აქვთ წვდომა სტუდენტებს და უცხოური კოლეგები თუ არიან რაიმე კუთხით ჩართულები ამ პროცესში, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მათ მჭიდრო კავშირი აქვთ სხვადასხვა უნივერსტეტთან, მაგალითად, ბერლინის უნივერსიტეტთან, რეგულარულად ჩამოდიან პროფესორები, რომლებიც კითხულობენ ლექციებს, დამადასტურებელი დოკუმენტაცია, დაგეგმილი იყო ბევრი სხვა ღონისძიება, თუმცა პანდემიამ ხელი შეუშალა. გარდა ამისა, მათ ჰქონდათ კონკურსები, სადაც გამარჯვებული სტუდენტები გაუშვეს ბულგარეთში ტრენინგზე, იტალიაში და ა.შ.
საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

- საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება

საბჭომ გაიზიარა შემდეგი რეკომენდაციები და დაამატა რჩევა:

ა)პროგრამის მიზნების, მისანიჭებელი კვალიფიკაციის და კომპეტენციების შესაბამისობის გასაუმჯობესებლად მიზანშეწონილია საგნობრივი კონცენტრაციების გაძლიერება ფინანსების და მენეჯმენტის მიმართულებით;

ბ) კურიკულუმის რუკაში ზოგ შემთხვევაში დარღვეულია ლოგიკური ბმა სასწავლო კურსებსა და სწავლის შედეგებს შორის, რეკომენდებულია აღნიშნული რუკის დაზუსტება და შესაბამისობაში მოყვანა;

გ) სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან შესაბამისობის გასაძლიერებლად აუცილებელია პროგრამის სტრუქტურის და შინაარსის შემდგომი გადამუშავება – არსებული კურსების გადახედვა/გაღრმავება ისეთი საკითხებითა და თემებით, როგორებიცაა მაგალითად:

– ფინანსური ანალიზი და პროგნოზირება;
– ფინანსური ინსტიტუტების მართვა;
– სტრატეგიული მენეჯმენტი;
– ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (IFRS);
– მენეჯერული ეკონომიკა;

დ) რეკომენდებულია გადაიხედოს ზოგიერთი საგნის სილაბუსი („საბანკო ლოჯისტიკა“, „რისკოლოგია“) საბანკო-საფინანსო სექტორის თანამედროვე გამოწვევებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით;

ე) კურიკულუმის რუკაში აღმოჩენილია ხარვეზები სასწავლო კურსებსა და სწავლის შედეგებს შორის ბმის თვალსაზრისით, რეკომენდირებულია რუკის დაზუსტება და შესაბამისობაში მოყვანა;

ვ) რეკომენდებულია პროგრამამ შეიმუშაოს სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი, რომლშიც გაიწერება სამაგისტრო ნაშრომის მიზანი, შედეგები, მეთოდები; სამაგისტრო ნაშრომის თემის შერჩევის, ხელმძღვანელისა და რეცენზენტის გამოყოფის პროცესი; სამაგისტრო ნაშრომის გაფორმების ინსტრუქცია; ნაშრომის დაცვისა და შეფასების მექანიზმი;

ზ) დაინერგოს სამაგისტრო ნაშრომების პლაგიატზე შემოწმების პრაქტიკა სათანადო პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით;

თ) აუცილებელია სტუდენტების საერთაშორისო სხვადასხვა ტიპის ღონისძიებში ჩართულობის და საერთაშორისო მობილობის გაზრდა, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს პროგრამის განვითარებას ინტერნაციონალიზაციის კონტექსტში. ამისათვის საჭიროა ინფორმაციის მიწოდების გზების მოდიფიცირება და სტუდენტების მოტივაციის ამაღლება მათი მეტი აქტიურობისთვის;

ი) რეკომენდებულია სტუდენტური პორტფოლიოების პროგრამაზე მორგება ან სხვა მექანიზმის შემუშავება მაგისტრანტების დასაქმების უზრუნველსაყოფად მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად;

კ) რეკომენდებულია ღონისძიებების გატარება (დაფინანსება) აკადემიური/მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის და მოტივაციის გაძლიერების მიზნით, რათა მოიმატოს პროგრამის აქტივობამ საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის და რეფერირებად ჟურნალებში პუბლიკაციების განთავსების კუთხით.

რჩევა:

სასურველია გონივრულ ვადებში პროგრამა შესაბამისობაში მოვიდეს ახალ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან.

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომაზე დააყენა პროგრამის 7 წლით აკრედიტაციის საკითხი წელიწადსა და ექვს თვეში ანგარიშის წარმოდგენითა და მონიტორინგით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

საბჭომ, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-31 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 31 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 272 მუხლის პირველი პუნქტის, 275 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 276 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 31-ე მუხლის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, 7 წლის ვადით მიანიჭა აკრედიტაცია პროგრამას წელიწადსა და ექვს თვეში მონიტორინგით.

საბჭოს წევრმა ნიკოლოზ კიკნაძემ დატოვა სხდომა.

2. მეორე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტირებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	2019 წლის 17 იანვარი N14
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
11	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი, 0160, მ. კოსტავას 1., N77, სასწავლო კორპუსი N6
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- კი

საბჭოს წევრმა დიმიტრი გეგენავამ განაცხადა თვითაცილება.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობის არსებობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავჯდომარემ სთხოვა ექსპერტებს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტთა მოსაზრება

ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ვიზიტი შედგა 2020 წლის 2 მარტს სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო პროგრამის განსახილველად. მისი თქმით, ვიზიტმა ჩაიარა კოლეგიალურ გარემოში, ყველა დაგეგმილი შეხვედრა ჩატარდა, დაათვალიერეს მატერიალურ - ტექნიკური ბაზა, ბიბლიოთეკაში შეამოწმეს წიგნების საცავი შემთხვევითობის პრინციპით, გამოითხოვეს სამაგისტრო ნაშრომები და გაეცნენ მას. რაც შეეხება რეკომენდაციებს, მან თქვა, რომ რეკომენდირებულია საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურის და კურიკულუმის მოდიფიცირება, საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის უკეთ უზრუნველყოფის მიზნით. რეკომენდირებულია სწავლის შედეგების ფორმულირება, ისე, რომ

ის შეესაბამებოდეს მისანიჭებელ კვალიფიკაციას და კონცენტრაციებმა გავლენა არ მოახდინონ სწავლის შედეგებზე. მესამე რეკომენდაციაა, რაოდენობრივი კვლევის ჩატარების დროს კითხვარების შევსება მოხდეს ანონიმურად, რომ არ დაირღვეს პირადი მონაცემების გავრცელების პრინციპი, მეოთხე რეკომენდაცია ეხება საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგს, რომ მან მოიცვას მხოლოდ ის ცოდნა, რომელიც მიღწევაც ყველასთვის სავალდებულო კომპონენტებით არის შესაძლებელი. შემდეგი რეკომენდაციაა ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის კვალიფიკაციისთვის მნიშვნელოვანია ეკონომიკის საკითხების სიღრმისეული ცოდნა და ამ ცოდნით სტუდენტის უზრუნველყოფის მიზნით სასურველია, რომ საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავდეს შესაბამისს სასწავლო კურსს. რეკომენდირებულია აუდიტის კონცენტრაციას დაემატოს სასწავლო კურსი, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტების ფინანსურ აუდიტთან და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებთან დაკავშირებულ ცოდნას. რეკომენდირებულია სასწავლო კურსი საზოგადოებასთან ურთიერთობა ისწავლებოდეს მარკეტინგის კონცენტრაციის ფარგლებში. დასაზუსტებელია ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის მხოლოდ ერთ - ერთი სწავლის შედეგის ფორმულირება, რომელიც კონკრეტული კონცენტრაციის უზრუნველყოფის სწავლის შედეგებს აღწერს, ხოლო თუ დაწესებულების წარმომადგენლებს სურს სწავლის შედეგის შენარჩუნება რეკომენდირებულია ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსების ჩამონათვალს დაემატოს ისეთი სასწავლო კურსები, რომლებიც უზრუნველყოფენ სწავლის შედეგის აღწერილი ცოდნით. რეკომენდირებულია, საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შემუშავებული იყოს სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი, რომლითაც განისაზღვრება კომპონენტის მისაღწევი სწავლის შედეგები. შემდეგი რეკომენდაცია უკავშირდება სტუდენტების მხრიდან ნაშრომების წესების დაცვას, ხოლო ხელმძღვანელებიდან აღნიშნული მიმართულების სტუდენტებთან უფრო ინტენსიურ მუშაობას. რეკომენდირებულია დაიგეგმოს აქტივობები საერთაშორისო სამეცნიერო ელექტრონული ბაზების შესახებ სტუდენტებში ცნობიერების ამაღლების მიზნით, რაც გაზრდიდა სამაგისტრო ნაშრომების შესრულებისას ვალიდური სამეცნიერო წყაროების გამოყენებას, რაც თავის მხრივ გაზრდიდა შესრულებული სამაგისტრო ნაშრომის ხარისხს. მისი თქმით, საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მიზნით სასურველია განხორციელდეს მონიტორინგის დროს მიღწეული შედეგების ანალიზი და ასევე, განხორციელდეს ელექტრონული ბაზების შესახებ ცნობიერების ამაღლება, როგორც აკადემიურ პერსონალში ისე სტუდენტებში.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო პროგრამა არის ერთ - ერთი წარმატებული საგანმანათლებლო პროგრამა. მისი თქმით, ის ხორციელდება 2012 წლიდან, ძალიან წარმატებით, რისი მაჩვენებელიც არის კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებელი. საგანმანათლებლო პროგრამას აკრედიტაცია მოუწია 2018 წელს, 2019 წელს კი მას მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია წელიწად ნახევრის ვადით, 2019 წლის ნოემბრის თვეში მათ ცენტრში შემოიტანეს განაცხადი საგანმანათლებლო პროგრამაზე, აკრედიტაციის ოქმისა და ექსპერტთა დასკვნის საფუძველზე მან განიცადა მოდიფიცირება და უკლებლივ ყველა რეკომენდაცია იქნა გათვალისწინებული, რაც ექსპერტებმაც დაადასტურეს. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კურსებიდან 2 არის ბილინგური (ორმაგი) ინგლისურ და ქართულ ენაზე, 34 ითვალისწინებს პრაქტიკულ და 5 - ლაბორატორიულ მეცადინეობებს, რაც უზრუნველყოფს თეორიული და პრაქტიკული უნარის გამომუშავებას. ყველა სილაბუსი შედგენილია აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვით. მისი თქმით, საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, მის მოდიფიცირებაში ჩართული იყვნენ აკადემიური, მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, პროფესიული საზოგადოების წევრები და აუდიტორიული ასოციაციის წევრები. მან აღნიშნა, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალი დაკავებულია პედაგოგიურ საქმიანობასთან ერთად პრაქტიკული საქმიანობით და მათი

ჩართულობა საგანმანათლებლო პროგრამაში ნაყოფიერია. საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების დეპარტამენტთან ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტთან ერთად არსებობს ბიზნესს სამართლის დეპარტამენტი, ბიზნესის სასწავლო და კვლევითი ლაბორატორია. იმ სტუდენტებისათვის, რომლებიც უკვე დასაქმებულები არიან გათვალისწინებულია ინდივიდუალური გრაფიკი. რაც შეეხება წიგნად ფონდს, გათვალისწინებული აქვთ მუდმივად განახლებადი წიგნადი რესურსი, რომელთაგან ნაწილი განთავსებულია ელექტრონული ვერსიის სახით ცენტრალურ ნაწილში და ბიზნეს ტექნოლოგიების ფაკულტეტის ბიბლიოთეკაში. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, პირობითი აკრედიტაციის პროცესში სავალდებულო საგნების ჯგუფი გაფართოვდა სასწავლო კომპონენტში, იყო 4 სავალდებულო კურსი და ამ შემთხვევაში არის 9 სასწავლო კურსი, საიდანაც 2 არის ბილინგური, დაბალანსებულია სავალდებულო საგანთა ჯგუფი მენეჯმენტის, მარკეტინგისა და ფინანსების სასწავლო კურსებს, რომლებიც კონცენტრაციის საგნებისათვის წარმოადგენენ წინაპირობებს, რაც მოწვეულმა ექსპერტმა შესთავაზა მათ. ასევე, მისი განმარტებით, საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განისაზღვრა ინგლისური ენის B2 დონე. კონცენტრაციებს საერთაშორისო მენეჯმენტი და საერთაშორისო მარკეტინგი შეეცვალათ სახელი, როგორც მენეჯმენტი და მარკეტინგი. სასწავლო კურსი "ფინანსური ანგარიშგება" კონცენტრაციიდან "აუდიტი" იქნა გადატანილი ძირითად სასწავლო კურსებში. სასწავლო კურსის სტრატეგიული მენეჯმენტი 6 კრედიტის სახით კონცენტრაციიდან მენეჯმენტი გადავიდა ძირითად სასწავლო კურსებში, მარკეტინგის მენეჯმენტი კონცენტრაციიდან მენეჯმენტი მარკეტინგი გადავიდა ძირითად სასწავლო კურსებში. სასწავლო კურსები ძირითადი კვლევის მიზნები ბიზნესში დაემატა ძირითად სასწავლო კურსებს და არჩევითი სასწავლო კურსი ბიზნეს პროექტის მენეჯმენტი გადატანილ იქნა ძირითად სასწავლო კურსებში. საწარმოო პრაქტიკა, რომელიც წარმოდგენილი იყო 5 კრედიტის სახით გახდა 6 კრედიტი, თითოეული საგნის კრედიტების საგნის ცვლილება ასახულია თვითშეფასების ანგარიშში. რაც შეეხება აკრედიტაციის ოქმის ჩანაწერს კონცენტრაციის ერთი ხარისხის მინიჭების შესახებ მან თქვა, რომ ფაკულტეტის სხდომის გადაწყვეტილებით საგანმანათლებლო პროგრამაში არის 6 კონცენტრაცია, რომელიც წარმოადგენს ბიზნეს ადმინისტრირების სფეროს სხვადასხვა მიმართულებას და შრომის ბაზრის მოთხოვნებიდან გამომდინარე აწვდის უახლეს ინფორმაციასა და კვლევაზე დაფუძნებულ ცოდნას. აკრედიტაციის საბჭოს ოქმის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ფარგლებში გათვალისწინებულ ღონისძიებებზე თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილია შესაბამისი მტკიცებულებები. დაწესებულების წარმომადგენელმა 1.2 ქვესტანდარტთან მიმართებით გაცემულ რეკომენდაციაზე თქვა, რომ მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამამ მოდიფიცირება განიცადა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს ოქმის საფუძველზე. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურისა და კურიკულუმის მოდიფიცირება მისი სწავლის შედეგების მიღწევის უკეთ უზრუნველყოფის მიზნით არის უნივერსიტეტის მუდმივი პროცესი, რომელშიც აქტიურ მონაწილეობას იღებენ აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები. წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა როგორც შრომის ბაზრის მოთხოვნებიდან ასევე, სწავლის შედეგების მიღწევადობის შეესაბამება 1.2 ქვესტანდარტის კრიტერიუმებს. მან აღნიშნა, რომ 2.2 ქვესტანდარტის აღწერაში ექსპერტთა ჯგუფის მიერ მკაფიოდ არის განსაზღვრული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობა მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და სწავლების საფეხურთან. მან მოიყვანა ციტატაც: „ამდენად საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა სტრუქტურა და კომპლექსურობა შეესაბამება სწავლების საფეხურს, საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან." შესაბამისად, მისი თქმით, აღნიშნული რეკომენდაცია შეიძლება განიხილონ, როგორც რჩევა, საგანმანათლებლო პროგრამის შემდგომი განვითარებისათვის. 1.2 ქვესტანდარტთან გაცემულ მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, მან თქვა, რომ ის მეორდება 2.2 და 2.3 ქვესტანდარტში. მისი განმარტებით, საგანმანათლებლო პროგრამის

სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია საგანმანათლებლო პროგრამის ძირითად სასწავლო კურსების სწავლის შედეგების საფუძველზე, ხოლო კონცენტრაციები, რომლებიც წარმოდგენილია 30 კრედიტის სახით უზრუნველყოფს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროს სხვადასხვა მიმართულების სასწავლო კურსებისა და სწავლის შედეგების საფუძველზე ცოდნის განმტკიცებას. საგანმანათლებლო პროგრამას დანართი 1 სახით ახლავს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების სადაც ექსპერტების მიერ რეკომენდირებულია 10 სწავლის შედეგიდან პირველი სწავლის შედეგის ფორმულირება ისე, რომ კონცენტრაციებმა გავლენა არ მოახდინოს სწავლის შედეგებზე. მისი აზრით, პირველი შედეგი მხოლოდ დაზუსტება, კორექტირებას მოითხოვს, შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები ეყრდნობა საკვალიფიკაციო ჩარჩოს და მეტწილად შესაბამისია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. რაოდენობრივი კითხვარების შევსებასთან დაკავშირებით, კი მან თქვა, რომ ვცხოვრობთ ციფრულ ეპოქაში, რომლის ერთ - ერთი მამოძრავებელი ძალა მონაცემებია. პერსონალური დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მე -8 მუხლის მე - 3 პუნქტის მიხედვით, მონაცემთა სუბიექტის მიერ ამ კანონით დადგენილი წესით გაცემული წერილობითი თანხმობის საფუძველზე პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის შეიძლება ნებისმიერი მონაცემი დამუშავდეს. შესაბამისად, აღნიშნულ დოკუმენტში მითითებული ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც მოიცავს სტუდენტის სახელსა და გვარს არის შეთანხმებული თითოეულ სტუდენტთან, იმ მიზნით, რომ დადასტურებულიყო კვლევის ნამდვილობა გამოკითხვის სისტემის ფუნქციონირების გამართულობასა და უტყუარობაში აკრედიტაციის ექსპერტების დარწმუნების მიზნით მათ გადაეცათ გამოკითხულ სტუდენტთა სიის მცირე ნაწილი, რაზეც შესაბამისმა რეზიდენტებმა გამოხატეს თანხმობა. მე-7 დანართში წარმოდგენილია ბიზნეს ტექნოლოგიების ფაკულტეტის მიერ ჩატარებული სხვადასხვა მიმართულების კვლევა, რომელიც ანონიმურია, ხოლო იმ კვლევაზე, რაზეც რეკომენდაციაა მოცემული ჩატარებულია 2017 წელს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე 1.2 ქვესტანდარტი მეტწილად შესაბამისია სტანდარტის მოთხოვნებთან, ამრიგად პირველი სტანდარტი შესაბამისია მოთხოვნებთან. დაწესებულების წარმომადგენელმა მაია ჩეჩელაშვილმა საბჭოს წევრებს 2.2 ქვესტანდარტთან დაკავშირებით მოახსენა, რომ მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირებამდე სასწავლო კურსი ეკონომიკა მენეჯერთათვის ისწავლებოდა ძირითადი სასწავლო კურსების არჩევით ბლოკში, საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის ანალიზმა კი აჩვენა, რომ ბოლო სასწავლო წლების განმავლობაში აღნიშნული კურსი სტუდენტების მიერ არ იქნა არჩეული. შესაბამისად, ის ამოღებული იქნა კურიკულუმიდან, მეტიც საბაკალავრო საფეხურის ეკონომიკის ცოდნის სიღრმისეული განათლებას სტუდენტი იღებს ბაკალავრიატში, ხოლო განსხვავებული სპეციალობის მსურველთათვის მაგისტრატურის შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის ტესტები ითვალისწინებს აღნიშნული განათლების ცოდნას. 2.2 ქვესტანდარტან გაცემულ მე - 2 რეკომენდაციასთან დაკავშირებით, მან თქვა, რომ მოახსენებენ დანარჩენი წარმომადგენლები.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ როგორც აუდიტის სხვადასხვა სახელმძღვანელოებიდან კარგად არის ცნობილი, რომ ფინანსური აუდიტის სასწავლო კურსის გავლისას დაინტერესებული პირები ძირითადად სწავლობენ შემდეგ საკითხებს: მარეგულირებელი ნორმები, აუდიტის სტანდარტები და პროფესიული ქცევა, კორპორაციული მართვა და შიდა აუდიტი, ეთიკა და აუდიტორად დანიშვნაზე დათანხმება, აუდიტორული დაგეგმვა, აუდიტორული რისკები, შიდა კონტროლის სისტემა, აუდიტორული მტკიცებულებები, აუდიტორული პროცედურები, ანალიზური პროცედურები, დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნის სტრუქტურა და მისი სახეები, მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის ბიზნეს ადმინისტრირების აუდიტის კონცენტრაციის სტუდენტები ფინანსური აუდიტის ყველა ზემოთ ჩამოთვლილ თემასთან და შესაბამისი აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებთან დაკავშირებით ცოდნას მიიღებენ კონცენტრაციაში შემავალი 2 სასწავლო კურსის გავლის შედეგად, ესენია: მმართველობითი შიდა აუდიტი და აუდიტის კომპიუტერული

საინფორმაციო სისტემები, ორივე სასწავლო კურსში არსებული კონკრეტული მაგალითების მეშვეობით, სტუდენტებისათვის ნათელი ხდება, რომ უნდა ჩატარდეს აუდიტი აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. მას მიაჩნია, რომ სასწავლო კურსში მმართველობითი შიდა აუდიტი და აუდიტის კომპიუტერული საინფორმაციო სისტემები, არსებული ფინანსური აუდიტის საკითხები საკმარის დონეზეა მისადაგებული სამეურნეო სუბიექტის ფინანსურ აუდიტთან. ორივე სასწავლო კურსში არსებული ფინანსურ აუდიტთან დაკავშირებული თემები შეჯამების შედეგად სტუდენტი ეუფლება აუდიტის მთელ პროცესს და აუდიტთან დაკავშირებულ ძირითად საკითხებს, მათ შორის: აუდიტის დაგეგმვა, არსებითობის შეფასება, რისკის შეფასება, შიდა კონტროლის სისტემები, აუდიტორული მტკიცებულებები, აუდიტორული პროცედურები და დამოუკიდებელი აუდიტის დასკვნები, დასკვნის სტრუქტურა. აღნიშნულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, მას მიზანშეწონილად მიაჩნია დეტალური ინფორმაციის მოწოდება, სადაც 2 სასწავლო კურსში აღნიშნულია ფინანსური აუდიტის კონკრეტული თემები, თუ რომელი სად არის გადანაწილებული და თითოეული თემის გავლისას რომელი აუდიტის სტანდარტების საერთაშორისო სტანდარტებია გაანალიზებული, წარმოდგენილი აქვთ ცხრილი, რომელიც თავის მხრივ გულისხმობს ფინანსური აუდიტის სასწავლო კურსის გავლისას შესასწავლი საკითხების ჩამონათვალს, იმავდროულად მისადაგებულია მე-2 სვეტში სასწავლო კურსის დასახელება, სადაც ისწავლება იგივე საკითხები, რომლებიც გათვალისწინებულია ფინანსურ აუდიტში, მე - 3 სვეტში განხილულია გამოყენებული სტანდარტები.

დაწესებულების წარმომადგენელმა მაია ჩეჩელაშვილმა 2.2 ქვესტანდარტთან დაკავშირებულ შემდეგ რეკომენდაციასთან მიმართებით თქვა, რომ სასწავლო კურსის საზოგადოებასთან ურთიერთობა შეტანილია კონცენტრაციაში მენეჯმენტი. მისი თქმით, პიარი, როგორც მარკეტინგის ნაწილი არის ინფორმაციის გავრცელება წინასწარ დასახული მიზნით და დღეს რეკლამასაც მოიცავს. მარკეტინგის კონცენტრაციის საგნები სხვადასხვა სახით და რაოდენობით სხვადასხვა დოზით მოიცავს პიარის საკითხებსაც, ხოლო მენეჯმენტის კონცენტრაციებში პიარს წარმოადგენს პიარი წარმოადგენს მართვის ფუნქციას, რომელიც აწესებს და მხარს უჭერს ურთიერთსასარგებლო ურთიერთობებს, ის მოიცავს უფრო მართვის საკითხებს, მენეჯმენტის კონცენტრაცია სხვა სასწავლო კურსები საზოგადოებასთან ურთიერთობის სხვა საკითხებს არ მოიცავენ, ამიტომ პიარი მენეჯმენტის კონცენტრაციაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა 2.4 ქვესტანდარტთან, სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსის შემუშავებასთან დაკავშირებით თქვა, რომ სამაგისტრო ნაშრომის შესრულება და დაცვა უნივერსიტეტში რეგულირდება მაგისტრატურის შესახებ დებულებით, სადაც ჩამოყალიბებულია ნაშრომის მიზანი, შედეგები, მეთოდები, მეთოდოლოგია, სამაგისტრო ნაშრომის თემის ხელმძღვანელისა და რეცენზენტის გამოყოფის პროცესი, სამაგისტრო ნაშრომის გაფორმების, ნაშრომის დაცვისა და შეფასების მექანიზმი, მაგისტრატურის დებულება განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ - გვერდზე, რომელიც საჯარო და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის. ასევე, მან აღნიშნა, რომ დანართ 8 - ში მოცემულია პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმები, სადაც მე - 2 მუხლში მხარეთა უფლებებსა და ვალდებულებებში მითითებულია სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობა. მაგალითად, “ბი ელ ჯი გრუპთან” 10 სტუდენტი, აუდიტორიულ კომპანიასთან - 20 სტუდენტი და ა. შ. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მას მიაჩნია, რომ 2.4 ქვესტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, მთლიანად მე -2 სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. 3.1 ქვესტანდარტთან გაცემულ რეკომენდაციასთან მიმართებით მან თქვა, რომ ბიზნეს ტექნოლოგიების ფაკულტეტზე ხორციელდება სხვადასხვა აქტივობები, მათ შორის შიდა საფაკულტეტო პროექტები, რომლის ფარგლებშიც მაგისტრანტებთან ტარდება სამუშაო, საინფორმაციო შეხვედრები, ასევე, ფაკულტეტის ვებ - გვერდისა და სოციალურ ქსელებში სპეციალურად მაგისტრანტებისათვის შექმნილი პროგრამების მეშვეობით მიეწოდებათ

ინფორმაცია მაგისტრატურის დებულებით გაწერილი სტანდარტების, გამოყენებული ლიტერატურის, პლაგიატის შეზღუდვებისა და საერთაშორისო პროექტების შესახებ, არგუმენტირებულ პასუხში მათ მითითებული ჰქონდათ ლინკები, სადაც არის ასახული ასეთი სამუშაო შეხვედრების შესახებ. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მას მიაჩნია, რომ 3.1 ქვესტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

დაწესებულების წარმომადგენელმა 3.2 ქვესტანდარტთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამამ მოდიფიცირება განიცადა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს ოქმის საფუძველზე, რაც მოხდა 2019 წლის 22 ოქტომბერს, რის შედეგადაც კურიკულუმს დაემატა სასწავლო კურსი სასწავლო კვლევის მეთოდები ბიზნესში, ხოლო სასწავლო კურსი პროფესიული ტექსტის რეფერირება გაძლიერდა აკადემიური წერის თემატიკით. აღნიშნული ცვლილება მიზნად ისახავდა სამაგისტრო ნაშრომებისა და შესრულებული კვლევის ხარისხის გაუმჯობესებას დარგის უახლესი საერთაშორისო მიღწევების ხელმისაწვდომობას. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს შემოწმებული სამაგისტრო ნაშრომები დაცულია 2019 წლის ივნისში, საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირება კი მოხდა 2019 წლის ოქტომბერში, გამომდინარე აქედან ის ცოდნა და უნარები, რასაც სტუდენტი შეიძენს მოდიფიცირებული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ნაწილობრივ უკვე ასახულია და შემდგომში ეტაპობრივად აისახება კიდევ უფრო უკეთესად მომდევნო წლების, არაუგვიანეს 2021 წლისა კურსდამთავრებულთა ნაშრომებში. მაგისტრანტების მიერ საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო სასწავლო კომპონენტების დასრულების შემდეგ ხელმძღვანელებთან ერთად ხდება საკვლევი თემის დაზუსტება და სამაგისტრო თემის რელევანტური კვლევის მეთოდების შერჩევა, რაც ასახულია სამაგისტრო ნაშრომებში. 3.2 ქვესტანდარტთან დაკავშირებით გაცემულ შემდეგ რეკომენდაციაზე, დაწესებულების წარმომადგენელმა თქვა, რომ ცვლილების შედეგად საგანმანათლებლო პროგრამის დაშვების წინაპირობად განისაზღვრა ინგლისური ენის B2 დონე. ბიზნეს ტექნოლოგიის ფაკულტეტზე ხორციელდება სხვადასხვა აქტივობები, მათ შორის შიდა საფაკულტეტო პროექტები, რომლის ფარგლებშიც მაგისტრანტებთან ტარდება სამუშაო შეხვედრები, ასევე, ფაკულტეტის ვებ - გვერდისა და სოციალური ქსელების მეშვეობით მიეწოდებათ ინფორმაცია მაგისტრატურის დებულებით გაწერილი სტანდარტების, გამოყენებული ლიტერატურის ვალიდურობის, პლაგიატის შეზღუდვებისა და საერთაშორისო პროექტების შესახებ. სტუდენტებთან განხორციელებული აქტივობები ხელს უწყობს საერთაშორისო ელექტრონული ბაზების შესახებ ცნობიერების ამაღლებას, სამაგისტრო ნაშრომების შესრულებისას უფრო ვალიდური წყაროების გამოყენებას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე 3.2 ქვესტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ამრიგად მე- 3 სტანდარტიც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

საბჭოს წევრი გიორგი თურქია დაინტერესდა რას გულისხმობდნენ ექსპერტები კურიკულუმის მოდერნიზაციაში, თუ გაესაუბრნენ ისინი სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს და რამდენად კარგად ერკვევიან, ფლობენ თანაბრად იმ ცოდნას რაც საგანმანათლებლო პროგრამის კონცენტრაციებს აქვს. ასევე, დაინტერესდა რომ აირჩიოს სტუდენტმა რომელიმე კონცენტრაციის საგანი და აღარ მოუნდეს გაგრძელება ამ შემთხვევაში რა ხდება. ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარემ საბჭოს წევრს უპასუხა, რომ ძირითადი საგანმანათლებლო პროგრამის პრობლემა არის ის, რომ არის 6 განსხვავებული კონცენტრაცია, რაც მას არ მიაჩნია სწორად, რადგან ვერ გადის შედეგზე. მაგალითად, სტუდენტი რომელმაც აირჩია მენეჯმენტის კონცენტრაცია ვერ გავა პირველ შედეგზე, იმიტომ, რომ ის აუდიტთან დაკავშირებულ ცოდნას არ იღებს. მისი მოსაზრებით, ეს დილემა არის ამ საგანმანათლებლო პროგრამის ყველაზე სერიოზული დილემა, რომლის წინაშეც ისინი დგანან. ის თუ როგორ გადაიჭრება ეს პრობლემა

კურიკულუმის მოდიფიკაციით თუ შედეგები გაუქმდება ეს უკვე დაწესებულების გადასაწყვეტია, თუმცა ეს არის სერიოზული პრობლემა. ექსპერტმა განმარტა, რომ თუ სტუდენტი ირჩევს კონცენტრაციას ის მას ვეღარ შეცვლის.

ექსპერტმა დააზუსტა, რომ თუ სტუდენტმა აირჩია ერთი კონცენტრაცია, ის მას ვეღარ შეცვლის, გავლილი საგნები სირთულეს წარმოადგენს. ასევე, დაამატა, რომ 3.1 ქვესტანდართან დაკავშირებით, რომ ინტერვიუების დროს კურსდამთავრებულებმა და სტუდენტებმა ვერ დაასახელეს ის ელექტრონული ბაზები, რომლებზეც მათ აქვთ წვდომა. შესაბამისად, გაიცა რეკომენდაციაც.

ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარემ აღნიშნა, რომ დაწესებულების წარმომადგენლის ერთ -ერთი არგუმენტი, თუ რატომ ამოიღეს საგანმანათლებლო პროგრამიდან მენეჯერული ეკონომიკა იყო ის, რომ სტუდენტები არ ირჩევდნენ აღნიშნულ სასწავლო კურსს, რადგან ის იყო რთული საგანი. ექსპერტებს კი მიაჩნიათ, რომ ამის გამო საგნის ამოღება არცისე სწორი გადაწყვეტილებაა. ასევე, მან აღნიშნა, რომ ექსპერტთა საბოლოო დასკვნიდან ამოღებულია დამსაქმებლებთან გაფორმებულ მემორანდუმებთან დაკავშირებით. მას მიაჩნია, რომ სამსჯელო კომპონენტი არის 6 კონცენტრაციის არსებობა.

ექსპერტმა დააზუსტა კონცენტრაციებთან დაკავშირებით, რომ ერთ - ერთი საგანმანათლებლო პროგრამის შედეგი ჩამოთვლის ისეთ შედეგებს, რომელზეც ვერ გავა სტუდენტი, რომელიც ირჩევს ერთ - ერთ კონცენტრაციას. შესაბამისად, შესაძლებელია საგანმანათლებლო პროგრამამ სტრუქტურა შეინარჩუნოს და სწავლის შედეგის ფორმულირება. ის გამოეხმაურა ამოკითხულ ამონარიდს ექსპერტთა დასკვნიდან და თქვა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა მოცულობა და კომპლექსურობა შესაბამისობაშია სწავლის საფეხურს, შინაარს და შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კომპონენტების ერთობლიობა მეტწილად შესაძლებელს ხდის საგანმანათლებლო პროგრამით დასახული სწავლის შედეგების მიღწევას. რაც შეეხება სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსს, მან თქვა, რომ უნივერსიტეტმა სტრუქტურა დახვეწა, თუმცა საუბარი იყო ისეთ ელემენტარულ საკითხებზე, როგორიც არის ვალიდური ლიტერატურის მითითება და ა. შ. მისი თქმით, საერთო ინსტრუქციაში შეუძლებელია გაწერილი იყოს კონკრეტულ საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებული შედეგები, რომელიც ამ კომპონენტით მიიღწევა. შესაბამისად, ისინი ფიქრობენ, რომ უნდა იყოს სილაბუსი შემუშავებული, რომელიც კონკრეტულ ამ კომპონენტებს აღწერს. ასევე, მან აუდიტთან დაკავშირებით, აღნიშნა, რომ ისინი არ ამბობენ, რომ აუდიტის კონცენტრაცია არ აძლევს აუდიტთან დაკავშირებულ ცოდნას, თუმცა თვლიან, რომ სტუდენტი, რომელსაც არანაირი საფუძველი არ ექნება ამ მიმართულებით არ არის სასურველი ცოდნა მიიღოს გაბნეულად. შესაბამისად, რეკომენდირებულია იყოს სასწავლო კურსი, რომელიც იქნება ფინანსურ აუდიტთან დაკავშირებული.

ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარემ აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამა უმჯობესი იქნებოდა, რომ მეტად იყოს პრაქტიკასთან დაახლოებული. უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა აღნიშნეს პერსონალი, რომელსაც პრაქტიკული გამოცდილებაც აქვს რაც მათ ვერ დაინახეს, მისი პირადი აზრია, რომ საგანმანათლებლო პროგრამა ძალიან მოწყვეტილია პრაქტიკას. შესაბამისად, მისი სურვილია ზოგიერთ საგნებში უფრო მეტი პრაქტიკოსის ყოფნა. მაგალითად, ბიზნეს კომუნიკაციის სილაბუსში არის თეორიით გაჯერებული კურსი, სადაც ძალიან ცოტა ადგილი უჭირავს ბიზნეს კომუნიკაციას.

საბჭოს წევრმა თამარ ტუფინაშვილმა საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს მიმართა კითხვით - პროგრამაში გათვალისწინებული თითოეული კონცენტრაცია მოიცავს 30 კრედიტს,

კონცენტრაციის არჩევის შემთხვევაში, ასრულებს თუ არა სტუდენტი სამაგისტრო ნაშრომს ამ კონკრეტული მიმართულებით. რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ კონცენტრაციის არჩევა თავისთავად არ გულისხმობს ამ მიმართულებით სამაგისტრო ნაშრომის შესრულებას და არც არსად არ არის დაფიქსირებული, სტუდენტი მისი სურვილით ირჩევს სამაგისტრო ნაშრომის თემატიკას. მან დააზუსტა, რომ შესაძლებელია 10 დან 8 სტუდენტმა სამაგისტრო ნაშრომი დაიცვას ასე.

საბჭოს წევრმა განმარტა, რომ თავისთავად კონცენტრაციის არსებობა პროგრამაში მისასალმებელია, მაგრამ მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, კონცენტრაციის კრედიტების რაოდენობა უნდა იყოს საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტების მინიმუმ 50%. შესაბამისად, 30 კრედიტიანი კონცენტრაცია კარგავს აზრს. ასევე, კონცენტრაციის შედეგი გათვალისწინებული უნდა იყოს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებში.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამა 120/ნ ბრძანებით არის შემოტანილი, რაზეც საბჭოს წევრმა უპასუხა, რომ ამას არ აქვს მნიშვნელობა, რადგან 120/ნ ბრძანების თანახმადაც სასწავლო კურსს თუ მოდულს უნდა ჰქონდეს სწავლის შედეგი. გარდა ამისა, სტუდენტისთვის ცნობილი უნდა იყოს თითოეული კონცენტრაციის სწავლის შედეგი.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ კონცენცენტრაციის შედეგი სწავლის შედეგებში ვერ აისახება, საგანმანათლებლო პროგრამა უნდა გადიოდეს ერთიან შედეგებზე. თითოეულ კონცენტრაციას, რომ ჰქონდეს ცალკე შედეგი საგანმანათლებლო პროგრამა ვერ გავა შედეგზე. მისი თქმით, კონცენტრაცია არის გაღრმავებული ცოდნა რაღაც მიმართულებით, ცოდნის განმტკიცება, როგორც 69/ნ განმარტავს. საბაზისო ცოდნას კი სტუდენტი იღებს ნებისმიერი კონცენტრაციის არჩევისას.

საბჭოს წევრმა განმარტა, რომ 69/ნ ბრძანების თანახმად, კონცენტრაციის შედეგები უნდა იყოს გაწერილი და გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებში და არ უნდა ახდენდეს გავლენას მისანიჭებელ კვალიფიკაციაზე. 120/ნ ბრძანების თანახმად, თითოეულ სასწავლო კურსს თუ მოდულს უნდა ჰქონდეს დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციებით აღწერილი სწავლის შედეგი, რასაც ვერ ვხედავთ სამაგისტრო პროგრამაში. გარდა ამისა, საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებში არ არის გათვალისწინებული უცხოურ ენაზე კომუნიკაციის უნარი, მიუხედავად განათლების საფეხურისა და პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტისა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ექსპერტებს რეკომენდაცია ჰქონდათ მხოლოდ პირველი სწავლის შედეგის ფორმულირებასთან, რაზეც გასცეს პასუხი. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგზე გადის ყველა კონცენტრაცია, ძირითადი ბლოკის საშუალებით. რაც შეეხება პრაქტიკულ კომპონენტს მან აღნიშნა, რომ სასწავლო კურსების რაოდენობიდან პრაქტიკული 5 - ლაბორატიული, არსებობს საწარმოო პრაქტიკაც, რითაც უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი.

საბჭოს წევრმა ნინო დობორჯგინიძემ აღნიშნა, რომ როგორც გაიგო სტუდენტს შეუძლია აირჩიოს ერთი კონცენტრაცია, მაგრამ სამაგისტრო კვლევა შეუძლია დაწეროს მე-2 კონცენტრაციიდან, საიდანაც გაღრმავებული ცოდნა არ მიუღია.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ საგანმანთლებლო პროგრამით ეს აკრძალული არ არის, იმიტომ, რომ სტუდენტები ადეკვატურად აზროვნებენ. მაგალითად, თუ სტუდენტი

სწავლობს მარკეტინგის კონცენტრაციაზე, მას შეუძლია ბიზნეს ადმინისტრაციის ზოგად საგნიდან გააკეთოს ნაშრომი. ასევე, მან თქვა, რომ სტუდენტების უმრავლესობა საკუთარი კონცენტრაციიდან აკეთებენ არჩევანს.

საბჭოს წევრმა იკითხა, რომ თუ 6 კონცენტრაციიდან ერთ კონცენტრაციაში შეიძინა კვლევის უნარები როგორ შეიძლებოდა დანარჩენ 5-ში ნაშრომის დაწერა, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა თქვა, რომ ისინი სტუდენტებს ასწავლიან კვლევის მეთოდებს, რაც კონცენტრაციის მიხედვით არ ხდება, ისინი ასწავლიან კვლევის თვისობრივ და რაოდენობრივ კვლევებს, ასევე, სტატისტიკურ კვლევის მეთოდებს და ამ მეთოდებს იყენებენ ნებისმიერ მიმართულებაში. სტუდენტებს არ ეზღუდებათ არჩევანი.

საბჭოს წევრმა თქვა, რომ რაოდენობრივ და თვისობრივ კვლევას სოციოლოგიის მიმართულების სტუდენტებიც გადიან, მაგრამ მოცემული 6 კონცენტრაციიდან სადიპლომო ნაშრომს ვერ დაწერენ. საბჭოს წევრი მანანა კევლიშვილი დაინტერესდა ლაბორატორიული მეთოდი, რომელიც გულისხმობს ცდების დაყენებას, რომელ ცდების დაყენებაზე იყო საუბარი.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წევრს უპასუხა, რომ ის არ შეეხება კოლბებს, არც რეაგენტებს. მისი თქმით, ლაბორატორიის თანამშრომლები სტუდენტებს ეხმარებიან როდესაც მათ ჩასატარებელი აქვთ რაიმე კვლევა საკვალიფიკაციო ნაშრომის შესრულებისას. ასევე, თქვა, რომ ცდების დაყენებაში შეიძლება იგულისხმებოდა მარკეტინგული კვლევების დროს ჩატარებული კვლევები: მომხმარებლის ქცევის კვლევას და ა. შ. თავდაპირველად დგება ცდის გეგმა.

საბჭოს წევრმა დიმიტრი გეგენავამ განმარტა, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩამოთვლილი სწავლის მეთოდები არ არის რელევანტური, რადგან მინისტრის მე - 3 ბრძანებით შეიცვალა სწავლა სწავლების მეთოდები, ის რაც ადრე ეწერა გადასულია შეფასების კომპონენტებში, გამარტივდა ეს ყველაფერი.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ახალ სილაბუსებში ეს ყველაფერი გათვალისწინებულია.

საბჭოს წევრმა ნიკა თიკანაშვილმა თქვა, რომ ამ საგანმანათლებლო პროგრამაზე 100-150 სტუდენტიდან 76% არის დასაქმებული საკუთარი კვალიფიკაციის შესაბამისად. ის დაინტერესდა რომელი კონცენტრაცია იყო ყველაზე მოთხოვნადი. ასევე, თუ ჰქონდათ სტუდენტებს საშუალება კონცენტრაციის მიხედვით მიიღონ პრაქტიკული უნარები სხვადასხვა ობიექტებზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სტუდენტებს პარტნიორ ობიექტებთან აქვთ საშუალება მიიღონ პრაქტიკა კონცენტრაციის მიხედვით. მემორანდუმების უმეტესობა არის მენეჯმენტის, მარკეტინგის, მცირე ბიზნესის, სააუდიტორო მიმართულების, აქვთ პრაქტიკის დღიურები, სახელწოდება პრაქტიკას საერთო აქვს - პრაქტიკა ბიზნეს ადმინისტრირებაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა დაამატა, რომ სტუდენტს პრაქტიკის ობიექტზე სილაბუსის მიხედვით ენიშნება მენტორი, რომელსაც ახასიათებს სტუდენტი, ფაკულტეტზე არის აკადემიური პერსონალიდან ხელმძღვანელი, რომელიც ეცნობა ამ დახასიათებას და აწარმოებს ანგარიშს, დაცვაზე შეფასება ხდება ამ დაცვის მიხედვით.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აუდიტის კონცენტრაციის სტუდენტები მიდიან აუდიტორულ კომპანიებში, რომლებთანაც მათ ხელშეკრულებები აქვთ გაფორმებული.

მან თქვა, რომ ვიზიტის დროსაც ჰყავდათ დამსაქმებელი წარმოდგენილი, საგანმანათლებლო პროგრამის მაგისტრანტი, რომელმაც გაიარა პრაქტიკა ერთ - ერთ ობიექტზე შემდეგ მან შექმნა თავისი აუდიტორული კომპანია და გახდა დამსაქმებელი. ასევე, თქვა, რომ დ. ბ-ე არის სერთიფიცირებული აუდიტორი.

დაწესებულების წარმომადგენელმა დაამატა, რომ დამსაქმებლების უმრავლესობას აქვს მათთან მჭიდრო კავშირი და ჩართულები არიან საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში, გათვალისწინებული იყო მათი რჩევები.

საბჭოს წევრმა პაატა ბრეკაშვილმა აღნიშნა, რომ 1 საათის წინ განიხილეს იგივე უნივერსიტეტის სხვა საგანმანათლებლო პროგრამა, ამდენი კონცენტრაცია თუ ასე კარგად მუშაობს არსებული ფინანსების კონცენტრაცია რატომ იყო ცალკე.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წევრს უპასუხა, რომ მათ ბიზნეს ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამაში აქვთ 6 კონცენტრაცია, სანამ მოხდებოდა საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირება 2018 წელს, 2012 წლიდან იყო 17 კონცენტრაცია, ის გახდა 6 შრომის ბაზრის მოთხოვნებიდან. რადგან მათ უკვე ჰქონდათ ფინანსების კუთხით ერთი საგანმანათლებლო პროგრამა ფინანსების კონცენტრაცია ბიზნეს ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამაში არ არის.

საბჭოს წევრმა დააზუსტა შეკითხვა, თუ საგანმანათლებლო პროგრამაში წარმოდგენილია აუდიტის მიმართულება რატომ არ შეიძლება ყოფილიყო ფინანსების მიმართულება, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მოდიფიცირების დროს ჩართულები იყვნენ კურსდამთავრებულები კითხვარების შევსების დროს აუდიტის კონცენტრაციაზე გაამახვილეს ყურადღება. ფინანსების კუთხით იმიტომ არ გაკეთდა, რომ ფინანსების კუთხით სამაგისტრო საგანმანთლებლო პროგრამა არსებობს.

ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარემ აღნიშნა, რომ ამ საგანმანათლებლო პროგრამაზე მუშაობისას, იმისათვის რომ მას შეესწავლა ამ უნივერსიტეტის სხვა საგანმანათლებლო პროგრამები დახარჯა ძალიან დიდი დრო. მისი მოსაზრებით, უნივერსიტეტში არის ძალიან ბევრი დუბლირებული საგანმანათლებლო პროგრამა, ჩნდება ძალიან ბევრი კითხვის ნიშანი. ზოგადად, სხვადასხვა ფაკულტეტზე არის საგანმანათლებლო პროგრამების დუბლირება. დაწესებულების წარმომადგენელმა ექსპერტს უპასუხა, რომ ბიზნეს ადმინისტრირების კვალიფიკაციაზე გამსვლელი საგანმანათლებლო პროგრამა უნივერსიტეტში არის მხოლოდ მათ ფაკულტეტზე, სამივე საფეხურზე, ინგლისურენოვანი, რუსულენოვანი. საბჭოს წევრი გიორგი თურქია დაინტერესდა დიპლომში ბიზნეს ადმინისტრირებასთან ერთად თუ აღინიშნება ის კონცენტრაცია რაც აირჩია, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ დანართში აღინიშნება ის საგნები, რაც სტუდენტმა გაიარა, სად გაიარა პრაქტიკა.

დაწესებულების წარმომადგენელმა დაამატა, რომ დიპლომში კონცენტრაციის დამატებას დიდი აზრი არ აქვს, რადგან კურსდამთავრებული, როდესაც მიდის მაგალითად აუდიტში, ისინი გადიან შერჩევას.

საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

- **საბჭომ არ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება**

საბჭოს გადაწყვეტილებით 1-ლი და მე-2 სტანდარტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან" შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისია მოთხოვნებთან", ხოლო მე-4 და მე-5 სტანდარტი ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან" შეფასდა, როგორც „მეტწილად შესამაბისია მოთხოვნებთან".

საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შემდეგი რეკომენდაციები:
ა) რეკომენდირებულია პროგრამის სტრუქტურის და კურიკულუმის მოდიფიცირება, პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის უკეთ უზრუნველყოფის მიზნით;

ბ) რეკომენდირებულია სწავლის შედეგების ფორმულირება მოხდეს ისე, რომ შეესაბამებოდეს მისანიჭებელ კვალიფიკაციას და კონცენტრაციებმა გავლენა არ მოახდინოს სწავლის შედეგებზე;

გ) რეკომენდირებულია, რაოდენობრივი კვლევის ჩატარების დროს კითხვარების შევსება მოხდეს ანონიმურად და არ დაირღვას პირადი მონაცემების გავრცელების პრინციპი;

დ) რეკომენდირებულია პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგი ფორმულირდეს ისე, რომ მოიცვას მხოლოდ ის ცოდნა, რომლის მიღწევაც პროგრამით განსაზღვრული ყველასთვის სავალდებულო კომპონენტებითაა შესაძლებელი;

ე) ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის კვალიფიკაციისთვის მნიშვნელოვანია ეკონომიკის საკითხების სიღრმისეული ცოდნა და ამ ცოდნით სტუდენტის უზრუნველყოფის მიზნით რეკომენდირებულია პროგრამა მოიცავდეს შესაბამის სასწავლო კურსს;

ვ) რეკომენდირებულია აუდიტის კონცენტრაციას დაემატოს სასწავლო კურსი, რომელიც უზრუნველყოფდა სტუდენტებს ფინანსურ აუდიტთან და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებთან დაკავშირებული ცოდნით;

ზ) რეკომენდირებულია სასწავლო კურსი „საზოგადოებასთან ურთიერთობა" ისწავლებოდეს მარკეტინგის კონცენტრაციის ფარგლებში;

თ) დასაზუსტებელია ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის მხოლოდ ერთ-ერთი სწავლის შედეგის ფორმულირება, რომელიც კონკრეტული კონცენტრაციით უზრუნველყოფილ სწავლის შედეგებს აღწერს. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულებას სურს შეინარჩუნოს პროგრამის აღნიშნული სწავლის შედეგი, რეკომენდირებულია ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსების ჩამონათვალს დაემატოს ისეთი სასწავლო კურსები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ სტუდენტებს სწავლის შედეგით აღწერილი ცოდნით;

ი) რეკომენდირებულია პროგრამის ფარგლებში შემუშავებული იყოს სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი, რომლითაც განისაზღვრება კომპონენტით მისაღწევი სწავლის შედეგები;

კ) რეკომენდირებულია პროგრამის სტრუქტურის და კურიკულუმის მოდიფიცირება, პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის უკეთ უზრუნველყოფის მიზნით;

ლ) რეკომენდირებულია სტუდენტების მხრიდან მოხდეს ნაშრომების შესრულების წესების დაცვა, ხოლო ხელმძღვანელების მხრიდან რეკომენდირებულია აღნიშნული მიმართულებით სტუდენტებთან უფრო ინტენსიური მუშაობა;

მ) რეკომენდირებულია დაიგეგმოს აქტივობები საერთაშორისო სამეცნიერო ელექტრონული ბაზების შესახებ სტუდენტებში ცნობიერების ამაღლების მიზნით, რაც გაზრდიდა სამაგისტრო

ნაშრომების შესრულებისას უფრო ვალიდური სამეცნიერო წყაროების გამოყენებას, რაც თავისმხრივ გაზრდიდა შესრულებული სამაგისტრო ნაშორმების ხარისხს;

ნ) პროგრამის განვითარების მიზნით განხორციელდეს კითხვარებისა და მონიტორინგის დროს მიღწეული შედეგების ანალიზი;

ო) პროგრამის განვითარების მიზნით განხორციელდეს ელ. ბაზების შესახებ ცნობიერების ამაღლება, როგორც აკადემიურ პერსონალში, ასევე სტუდენტებში.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა პროგრამის აკრედიტაციის საკითხი მონიტორინგის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 0
წინააღმდეგი - 9

აკრედიტაციის დებულების 276 მე-4 პუნქტიდან გამომდინარე, რადგან საბჭოს მიერ პირობითი აკრედიტაციის შესახებ გადაწყვეტილება არ შეიძლება იქნეს მიღებული ზედიზედ ორჯერ კენჭისყრაზე ვერ დადგა საკითხი პროგრამის პირობითი აკრედიტაციის შესახებ.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა პრიოგრამის აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 0
წინააღმდეგი - 9

გადაწყვეტილება

- აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ

საბჭომ, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, ამავე კანონის 24-ე მუხლის, ასევე, აკრედიტაციის დებულების 275-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტთ გათალისწინებული გადაწყვეტილების სახეობაზე კენჭისყრის შედეგი არცერთი მომხრე, ამავე დებულების 275-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების სახეობაზე კენჭისყრის შედეგი-არცერთი მომხრე, 276 მუხლის მე-4 ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, უარი უთხრა პროგრამას აკრედიტაციის შესახებ.

საბჭოს სხდომა დატოვა გიორგი თურქიამ.

3. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ სამაგისტრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2018 წლის 16 ნოემბრის N150 გადაწყვეტილება ცვლილების შეტანის თარიღი: 2019 წლის 28 მარტის N80 გადაწყვეტილება
4	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
5	კვალიფიკაციის დონე	მე-7
6	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი
7	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
8	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	-
9	კვალიფიკაციის კოდი	02
10	სწავლების ენა	ქართული
11	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
12	განხორციელების ადგილი	საქართველო, 6010, ქ. ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის ქუჩა N35/32
13	წინა გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2018 წლის 16 ნოემბერი
14	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა	1 წელი
15	ანგარიშის წარმოდგენის თარიღი	2019 წლის 20 ნოემბერი
16	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2025 წლის 16 ნოემბერი

4. **მეოთხე საკითხი: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფინანსები და საბანკო საქმის“ სამაგისტრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა**

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფინანსები და საბანკო საქმე
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2018 წლის 16 ნოემბრის N149 გადაწყვეტილება
4	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
5	კვალიფიკაციის დონე	მე-7
6	კვალიფიკაციის დასახელება	ფინანსების მაგისტრი
7	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
8	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	-
9	კვალიფიკაციის კოდი	0204

10	სწავლების ენა	ქართული
11	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
IV12	განხორციელების ადგილი	საქართველო, 6010, ქ. ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის ქუჩა N35/32, უნივერსიტეტის I - ლი კორპუსი, IV - ე სართული
13	წინა გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2018 წლის 16 ნოემბერი
14	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა	1 წელი
15	ანგარიშის წარმოდგენის თარიღი	2019 წლის 20 ნოემბერი
16	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2025 წლის 16 ნოემბერი

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული მესამე და მეოთხე საკითხები ეხებოდა ერთიდაიგივე უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვას, შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ დააყენა შუამდგომლობა სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ და „ფინანსები და საბანკო საქმის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე წარმოდგენილი ანგარიშები განხილულიყო ერთად. საბჭოს წევრები ერთხმად დაეთანხმნენ შუამდგომლობას.
საბჭოს სხდომას არ ესწრებოდნენ საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები, შესაბამისად საბჭომ მათი პოზიციის მოსმენის გარეშე იმსჯელა სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ და „ფინანსები და საბანკო საქმის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების ცნობად მიღების საკითხზე.

მესამე და მეოთხე საკითხების ზეპირი მოსმენა

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭა 2018 წლის 16 ნოემბრის N150 გადაწყვეტილებით, აღნიშნულ გადაწყვეტილებაში ცვლილება შევიდა 2019 წლის28 მარტის N80 გადაწყვეტილებით.

დაწესებულებას დაევალა შემდეგი რეკომენდაციების შესრულება:

• მიზანშეწონილია მოხდეს მიზნის ფორმულირება უფრო მარტივი და გაზომვადი ფორმით. ამასთან ერთად მიზნიდან უნდა გამოირიცხოს ბიზნეს ადმინისტრირების სპეციალობისათვის შეუსაბამო აქტივობები.

• მიზანშეწონილია ჩატარდეს შრომის ბაზრის ფართომასშტაბიანი კვლევა, სადაც დამსაქმებელთა გამოკითხვა იქნება კვლევის ერთ-ერთი ნაწილი;

• მიზანშეწონილია განხორციელდეს ინტერნაციონალიზაციის უფრო ქმედითი აქტივობები;

• რეკომენდირებულია მოხდეს სწავლის შედეგების რეფორმულირმება, რათა ერთი მხრივ მოხდეს მათი შემცირება და ისინი გახდნენ უფრო მარტივად გაზომვადი;

• რეკომენდირებულია უნივერსიტეტმა გააძლიეროს ძალისხმევა დაინტერესებული მხარეების, კერძოდ სტუდენტების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების პროგრამის შემუშავების პროცესში ჩართულობის კუთხით;

• მიზანშეწონილია პროგრამის ხელმძღვანელებისა და აკადემიური და მოწვეული პერსონალის (სილაბუსის ავტორები) ურთიერთშეთანხმებით შეთავაზებულ იქნას სასწავლო კურსებში ,,შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები", კერძოდ, საერთაშორისო ეკონომიკა, საერთაშორისო ლოჯისტიკა, ხარისხის მენეჯმენტი, ბიზნესის შეფასება, ბიზნესის შეფასებისა და აუდიტის მენეჯმენტი, მეწარმეობის სამართლებრივი რეგულირება და ა.შ;

• მიზანშეწონილია პროგრამის სწავლის შედეგების ეფექტურობის მისაღწევად ბსუ-ს ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი განახლდეს უახლესი გამოცემებით და სტუდენტისათვის მიწოდებული სასწავლო მასალა ეფუძნებოდეს დარგის/მიმართულების/სფეროს აქტუალურ მიღწევებს;

• მიზანშეწონილია ბსუ - ს ფაკულტეტმა პერმანენტულად უზრუნველყოს აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის ინგლისურ ენაში (საკომუნიკაციო დონეზე ფლობის/სამეცნიერო ლიტერატურისა და წყაროების დამუშავების კომპეტენცია და ა.შ.) გრძელვადიანი ტრენინგებისა და workshop-ების შეთავაზება. აღნიშნული ინიციატივა ხელს შეუწყობს უსდ-ს პერსონალის კომპეტენციებისა და უნარების გაღრმავებას, რაც თავის მხრივ შესაძლებლობას მისცემს პროგრამაში ჩართულ პერსონალს მონაწილეობა მიიღოს უფრო მეტ საერთაშორისო კონფერენციებში, გაცვლით პროგრამებში, შეძენილი ცოდნა გაუზიარონ სტუდენტებს და დაგეგმონ ერთობლივი პროექტები;

• უსდ-მ უნდა უზრუნველყოს ინტერნაციონალიზაციის მექანიზმის გაძლიერება, პარტნიორ უნივერსიტეტებთან ერთობლივი, როგორც სტუდენტების, ისე აკადემიური პერსონალის გაცვლითი პროგრამების შემუშავება, ახალი პრაქტიკის დანერგვა, კვლევით პროექტებში ჩართულობა ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე;
• მიზანშეწონილია სამაგისტრო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე ფაკულტეტმა შეიმუშავოს ფინანსური გეგმა (ბიუჯეტი), სადაც აისახება პროგრამის ფინანსური მხარდაჭერის წყაროები, როგორც პერიოდული, ისე ერთჯერადი. ასევე, სასურველია ბიუჯეტში ხარჯვითი ლიმიტი გამოიყოს ცალკეული კომპონენტების გათვალისწინებით, კერძოდ ხარჯები პრაქტიკა/სტაჟირება სტუდენტებისათვის, სასწავლო/პროგრამული და კვლევითი(სტუდენტები, აკადემიური და მოწვეული პერსონალისათვის) მიზნებისათვის და ა.შ;

• რეკომენდირებულია უნივერსიტეტმა გააძლიეროს ძალისხმევა დაინტერესებული მხარეების, კერძოდ სტუდენტების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების პროგრამის შემუშავების პროცესში ჩართულობის კუთხით;

• მიზანშეწონილია განხორციელდეს ინტერნაციონალიზაციის მექანიზმის გაძლიერება, პარტნიორ უნივერსიტეტებთან ერთობლივი გაცვლითი პროგრამების შემუშავება, ახალი პრაქტიკის დანერგვა, კვლევით პროექტებში ჩართულობა;

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფინანსები და საბანკო საქმის“ სამაგისტრო პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭა 2018 წლის 16 ნოემბრის N149 გადაწყვეტილებით. დაწესებულებას დაევალა შემდეგი რეკომენდაციების შესრულება:

• მიზანშეწონილია მოხდეს მიზნის ფორმულირება უფრო მარტივი და გაზომვადი ფორმით. ამასთან ერთად მიზნიდან უნდა გამოირიცხოს ბიზნეს ადმინისტრირების სპეციალობისათვის შეუსაბამო აქტივობები;

• მიზანშეწონილია ჩატარდეს შრომის ბაზრის ფართომასშტაბიანი კვლევა, სადაც დამსაქმებელთა გამოკითხვა იქნება კვლევის ერთ-ერთი ნაწილი;

• მიზანშეწონილია განხორციელდეს ინტერნაციონალიზაციის უფრო ქმედითი აქტივობები მიზანშეწონილია მოხდეს სწავლის შედეგების რეფორმულირება, რათა ერთი მხრივ მოხდეს მათი შემცირება და ისინი გახდნენ უფრო მარტივად გაზომვადი;

• რეკომენდირებულია უნივერსიტეტმა გააძლიეროს ძალისხმევა დაინტერესებული მხარეების, კერძოდ სტუდენტების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების პროგრამის შემუშავების პროცესში ჩართულობის კუთხით;

• მიზანშეწონილია პროგრამაზე დაშვების წინაპირობა - „გამოცდა სპეციალობაში“ ითვალისწინებდეს შეთავაზებული პროგრამის/კონცენტრაციის სპეციფიკასა და სირთულეს, სასურველია შემუშავდეს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, წინაპირობები;

• მიზანშეწონილია პროგრამის ხელმძღვანელებისა და აკადემიური და მოწვეული პერსონალის (სილაბუსის ავტორები) ურთიერთშეთანხმებით შეთავაზებულ იქნას სასწავლო კურსებში „შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები“, კერძოდ, რაოდენობრივი მეთოდები, საწარმოს რისკების მართვა, სტრატეგიული ფინანსური მენეჯმენტი, პირდაპირი და პორტფელური ინვესტიციები, საზღვარგარეთის ქვეყნების საგადასახადო სისტემები და ა.შ;

• მიზანშეწონილია პროგრამის სწავლის შედეგების ეფექტურობის მისაღწევად ბსუ-ს ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი განახლდეს უახლესი გამოცემებით და სტუდენტისათვის მიწოდებული სასწავლო მასალა ეფუძნებოდეს დარგის/მიმართულების/სფეროს აქტუალურ მიღწევებს;

• მიზანშეწონილია ბსუ-მ/ფაკულტეტმა პერმანენტულად უზრუნველყოს აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის ინგლისურ ენაში (საკომუნიკაციო დონეზე ფლობის/სამეცნიერო ლიტერატურისა და წყაროების დამუშავების კომპეტენცია და ა.შ.) გრძელვადიანი ტრენინგებისა და workshop-ების შეთავაზება. აღნიშნული ინიციატივა ხელს შეუწყობს უსდ-ს პერსონალის კომპეტენციებისა და უნარების გაღრმავებას, რაც თავის მხრივ შესაძლებლობას მისცემს პროგრამაში ჩართულ პერსონალს მონაწილეობა მიიღოს უფრო მეტ საერთაშორისო კონფერენციებში, გაცვლით პროგრამებში, შეძენილი ცოდნა გაუზიარონ სტუდენტებს და დაგეგმონ ერთობლივი პროექტები;

• უსდ-მ უნდა უზრუნველყოს ინტერნაციონალიზაციის მექანიზმის გაძლიერება, პარტნიორ უნივერსიტეტებთან ერთობლივი, როგორც სტუდენტების, ისე აკადემიური პერსონალის გაცვლითი პროგრამების შემუშავება, ახალი პრაქტიკის დანერგვა, კვლევით პროექტებში ჩართულობა ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე;

• მიზანშეწონილია სამაგისტრო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე ფაკულტეტმა შეიმუშავოს ფინანსური გეგმა (ბიუჯეტი), სადაც აისახება პროგრამის ფინანსური მხარდაჭერის წყაროები, როგორც პერიოდული, ისე ერთჯერადი. ასევე, სასურველია ბიუჯეტში ხარჯვითი ლიმიტი გამოიყოს ცალკეული კომპონენტების გათვალისწინებით, კერძოდ ხარჯები პრაქტიკა/სტაჟირება სტუდენტებისათვის, სასწავლო/პროგრამული და კვლევითი(სტუდენტები, აკადემიური და მოწვეული პერსონალისათვის) მიზნებისათვის და ა.შ.);

• რეკომენდირებულია უნივერსიტეტმა გააძლიეროს ძალისხმევა დაინტერესებული მხარეების, კერძოდ სტუდენტების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების პროგრამის შემუშავების პროცესში ჩართულობის კუთხით;

• მიზანშეწონილია განხორციელდეს ინტერნაციონალიზაციის მექანიზმის გაძლიერება, პარტნიორ უნივერსიტეტებთან ერთობლივი გაცვლითი პროგრამების შემუშავება, ახალი პრაქტიკის დანერგვა, კვლევით პროექტებში ჩართულობა;

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ და „ფინანსები და საბანკო საქმის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე წარმოდგენილი ანგარიშების ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები
მომხრე - 9
მოწინააღმდეგე - 0

აკრედიტაციის დებულების 276 მუხლის მე - 2 პუნქტის საფუძველზე საბჭოს მიერ სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ და „ფინანსები და საბანკო საქმის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე წარმოდგენილი ანგარიშები მიღებულ იქნა ცნობად.

5. მეხუთე საკითხი: ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის „ისტორიის“ საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილი ნგარიშის განხილვა

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ისტორია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2018 წლის 22 ნოემბრის N157 გადაწყვეტილება
4	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
5	კვალიფიკაციის დონე	მე-6
6	კვალიფიკაციის დასახელება	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ისტორიაში
7	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
8	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	-
9	კვალიფიკაციის კოდი	1004
10	სწავლების ენა	ქართული

11	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
IV12	განხორციელების ადგილი	საქართველო,0179, ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი N53ა
13	წინა გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2018 წლის 22 ნოემბერი
14	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა	1 წელი
15	ანგარიშის წარმოდგენის თარიღი	2019 წლის 22 ნოემბერი
16	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2025 წლის 2 ნოემბერი

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს სხდომას არ ესწრებოდნენ საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები, შესაბამისად საბჭომ მათი პოზიციის მოსმენის გარეშე იმსჯელა ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის „ისტორიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ნგარიშის ცნობად მიღების საკითხზე.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის „ისტორიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭა 2018 წლის 22 ნოემბრის N157 გადაწყვეტილებით.

დაწესებულებას დაევალა შემდეგი რეკომენდაციების შესრულება:

- სასწავლო პრაქტიკული კომპონენტის შემუშავება და დანერგვა (პრაქტიკა, საზაფხულო სკოლა, ექსპედიცია და ა.შ.);
- ამოღებული იქნას რუსული ენა სწავლის პროცესში საუნივერსიტეტო სავალდებულო ენების ბლოკიდან და გადატანილი იქნას არჩევით საგნებში;
- მოხდეს თანამედროვე სასწავლო და სამეცნიერო უცხოენოვანი ლიტერატურის ასახვა სილაბუსებში;
- განახლდეს სილაბუსებში ლიტერატურა და გამოირიცხოს ონლაინ ენციკლოპედიების(მაგ. ვიკიპედია) მასალების მითითება ლიტერატურის ჩამონათვალში;
- განახლდეს ახლო აღმოსავლეთის ისტორიის კურსის 6. გაცვლითი პროგრამების ამოქმედება და საერთაშორისო კუთხით პროგრამის გააქტიურება; სტუდენტების მონაწილეობა საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში თუ პროექტებში;
- გარე დამსაქმებელთა ბაზის შექმნა. (პროგრამაში მოწვეული ლექტორების სახით

არსებული დამსაქმებლების გარდა, სხვა დამსაქმებლების მოძიება და აქტიური თანამშრომლობა);

- პროგრამას დაემატოს ისტორიის შესავალი კურსი, სადაც განხილული იქნება ისტორიული აზროვნების და საისტორიო მეცნიერების ძირითადი ეტაპები, სკოლები და მიმდინარეობები;

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენაა (ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის „ისტორიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი

კენჭისყრის შედეგები
მომხრე - 9
მოწინააღმდეგე - 0

აკრედიტაციის დებულების 27[6] მუხლის მე - 2 პუნქტის საფუძველზე საბჭოს მიერ ა (ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის „ისტორიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

6. მეექვსე საკითხი: ა(ა)იპ ჯიპა საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის „ აუდიო - ვიზუალური და მედია ხელოვნების“ საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	აუდიო - ვიზუალური და მედია ხელოვნება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2018 წლის 26 ნოემბრის N166 გადაწყვეტილება
4	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
5	კვალიფიკაციის დონე	მე-6
6	კვალიფიკაციის დასახელება	1. ხელოვნების ბაკალავრი აუდიო - ვიზუალურ ხელოვნებაში 2. ხელოვნების ბაკალავრი მედია ხელოვნებაში
7	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
8	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	-
9	კვალიფიკაციის კოდი	1. 0801 2. 0802
10	სწავლების ენა	ქართული
11	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
12	განხორციელების ადგილი	საქართველო,0108, ქ. თბილისი, მ. ბროსეს ქუჩა N2
13	წინა გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2018 წლის 26 ნოემბერი
14	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა	1 წელი

15	ანგარიშის წარმოდგენის თარიღი	2019 წლის 26 ნოემბერი
16	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2025 წლის 26 ნოემბერი

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს სხდომას არ ესწრებოდნენ საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები, შესაბამისად საბჭომ მათი პოზიციის მოსმენის გარეშე იმსჯელა ა(ა)იპ ჯიპა საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის„ აუდიო - ვიზუალური და მედია ხელოვნების“ საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხზე.

მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა
ა(ა)იპ ჯიპა საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის„ აუდიო - ვიზუალური და მედია ხელოვნების“ საბაკალავრო პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭა 2018 წლის 26 ნოემბრის N166 გადაწყვეტილებით.
დაწესებულებას დაევალა შემდეგი რეკომენდაციების შესრულება:

- ა) განზოგადდეს - მოიხსნას ჟანრობრივი დაყოფა აუდიო-ვიზუალური ხელოვნების პრაქტიკული კომპონენტის შემოქმედებითი ნაწილისა და განისაზღვროს ასე - „10-15 წუთიანი ფილმი ან ტრანსმედია პროექტი“, ან ბ) „აუდიო-ვიზუალური ხელოვნების კურიკულუმის ნაწილში განხორციელდეს საგნების დამატება ან მხატვრული მოკლემეტრაჟიანი ფილმის რეჟისურის არსებული კურსის გაფართოება-გაღრმავება და კრედიტების საათების გაზრდა;
- პირველი რეკომენდაციით განსაზღვრული „ა“ პუნქტის გათვალისწინების შემთხვევაში, გაიწეროს პრაქტიკული კომპონენტი მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისად - უფრო ზოგადი ფორმულირებით ვიდრე არის მოცემული პრაქტიკული კომპონენტის სამუშაო ინსტრუქციაში;
- კარგი იქნება, თუ სილაბუსში შეიცვლება პროპორცია საკონტაქტო და ინდივიდუალურ/დამოუკიდებელ საათებს შორის და მიუახლოვდება კრედიტების შესაბამის გონივრულ საკონსულტაციო დროს;
- აუდიო-ვიზუალური ხელოვნების კურიკულუმში განხორციელდეს შესაბამისი საგნების დამატება ან მხატვრული მოკლემეტრაჟიანი ფილმის რეჟისურის არსებული კურსის გაფართოება გაღრმავება და კრედიტების საათების გაზრდა;
- გასაწერია „პრაქტიკული კომპონენტის“ სილაბუსის რეალური საკონტაქტო, სტუდიური, ინდივიდუალური საათების რაოდენობა რეალურად განხორციელებული სამუშაოების მიხედვით;
- გაძლიერდეს აკადემიური პერსონალი;

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენაა(ა)იპ ჯიპა საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის„ აუდიო - ვიზუალური და მედია ხელოვნების“ საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი

კენჭისყრის შედეგები
მომხრე - 9

მოწინააღმდეგე - 0

აკრედიტაციის დებულების 27[6] მუხლის მე - 2 პუნქტის საფუძველზე საბჭოს მიერ ა(ა)იპ ჯიპა საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის„ აუდიო - ვიზუალური და მედია ხელოვნების“ საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

7. **მეშვიდე საკითხი: სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის „კულტურული ტურიზმის“ საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა**

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	კულტურული ტურიზმი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2018 წლის 16 ნოემბრის N148 გადაწყვეტილება
4	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
5	კვალიფიკაციის დონე	მე-6
6	კვალიფიკაციის დასახელება	ტურიზმის ბაკალავრი
7	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
8	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	-
9	კვალიფიკაციის კოდი	1120
10	სწავლების ენა	ქართული
11	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
IV12	განხორციელების ადგილი	საქართველო,0106, ქ. თბილისი,რუსთაველის 19
13	წინა გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2018 წლის 16 ნოემბერი
14	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა	1 წელი
15	ანგარიშის წარმოდგენის თარიღი	2019 წლის 25 ნოემბერი
16	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2025 წლის 16 ნოემბერი

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს სხდომას არ ესწრებოდნენ საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები, შესაბამისად საბჭომ მათი პოზიციის მოსმენის გარეშე იმსჯელა სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის „კულტურული ტურიზმის“ საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხზე.

მეშვიდე საკითხის ზეპირი მოსმენა

სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის „კულტურული ტურიზმის“ საბაკალავრო პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭა 2018 წლის 16 ნოემბრის N148 გადაწყვეტილებით.

დაწესებულებას დაევალა შემდეგი რეკომენდაციების შერულება:

- სასწავლო კურსი „ზოგადი ინფორმატიკა, საოფისე პროგრამები“, რაც ინფორმატიკის ზოგადი პრინციპების შესწავლას სთავაზობს, შეიცვალოს „ინფორმაციული ტექნოლოგიების კურსით;
- პროგრამის კულტურისა და ხელოვნების ისტორიის ბლოკის გაძლიერების მიზნით პროგრამაში წარმოდგენილი უნდა იყოს ისეთი სასწავლო კურსები, როგორებიცაა კულტ“როლოგია, ან კულტურის კვლევების შესავალი; კულტურის ანთროპოლოგია ფილოსოფიური ანთროპოლოგიის ნაცვლად, რადგან სტუდენტები პროგრამაში სწავლობენ ფილოსოფიას; კულტურათშორისო ურთიერთობები; ქართული კულტურა; საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა და მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობა;
- პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე მიზანშეწონილია მათემატიკა 1 და 2-ის გაერთიანება და სასწავლო კურსის კურსის მათემატიკა ტურიზმისთვის“ შეთავაზება, რაც მოემსახურება პროგრამის შედეგებს;
- სასწავლო კურსს „საბუღალტრო აღრიცხვის საფუძვლები“ განესაზღვროს წინაპირობა;
- როგრამის ხელმძღვანელს, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისა და ხარისხის სამსახურის ურთერთშეთანხმები, გათვალისწინებულ იქნას ცვლილებები სასწავლო პროგრამაში, კერძოდ, ხელოვნებათმცოდნეობითი საგნების გამსხვილების ხარჯზე, კულტუროლოგიის: კულტურის მეცნიერებათა შესავლის, ქართული კულტურის ისტორიის ეთნოგრაფიითურთ) და ინტერკულტურული კომუნიკაციის საფუძვლების შეტანა სასწავლო პროგრამაში მიზანშეწონილია სავალდებულო დისციპლინის სახით), ასევე კულტურის ანთროპოლოგიის არჩევითი კურსის შეთავაზება, ნაცვლად „ანთროპოლოგიისა“ ან კიდევ სასწავლო კურსში აქცენტის გადატანა კულტურის ანთროპოლოგიის საკითხებზე;
- საბაკალავრო ნაშრომების თემატიკა უნდა შემუშავდეს პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით;
- პროგრამის სწავლის შედეგების ეფექტიანობის მისაღწევად, მიზანშეწონილია, სტუდენტისათვის მიწოდებული სასწავლო მასალა ეფუძნებოდეს, კლასიკურ ნაშრომებთან ერთად ეფუძნებოდეს, დარგში; სფეროში გამოცემულ უახლეს ლიტერატურას-როგორც ქართულ, ასევე უცხოურ ენაზე.ამ უკანასკნელის შესაბამისი ნაწილების ქართული ვერსიები შეიძლება მომზადდეს სასწავლო კურსის რიდერების სახით;
- მიზანშეწონილია, რომ აღნიშნული კურსის ფარგლებში ამოქმედდეს გაცვლითი პროგრამები და სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა აქტიურად მიიღონ მონაწილეობა საერთაშორისო პროექტებში;
- უსდ - ს ფაკულტეტმა პერმანენტულად უნდა უზრუნველყოს აკადემიური სამეცნიერო პერსონალის ინგლისურ ენაში (საკომუნიკაციო დონეზე ფლობის სამეცნიერო ლიტერატურის, ქავრებეს დამუშავებელ კომპენტენცია და ა.შ.) გრძელვადიანი ტრენინგებისა და workshop-ების შეთავაზება. აღნიშნული ინიციატივა ხელს შეუწყობს უსდ-ს, როგორც აკადემიური, ისე მოწვეული პერსონალის კომპეტენციებისა და უნარების გაღრმავებას, რაც თავის მხრივ შესაძლებლობას მისცემს პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალს მონაწილეობა მიიღოს უფრო მეტ საერტაშორისო კონფერენციებში, გაცვლით პროგრამებში, შეძენილი ცოდნა გაუზიარონ სტუდენტებს და დაგეგმონ ერთობლივი პროექტები პარტნიორ უნივერსიტეტებთან;
- უსდ - მ უნდა უზრუნველყოს (ნტერნაციუნალიზაციის მექანიზმის გაძლიერება, პარტნიორ უნივერსიტეტებთან ერთობლივი, როგორც სტუდენტების, ისე აკადემიური პერსონალის გაცვლითი პროგრამების შემუშავება, ახალი პრაქტიკის დანერგვა, კვლევით პროექტებში ჩართულობის ზრდა, როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე;
- მიზანშეწონილია სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მეტი ინფორმირება არსებული ელექტრონული ბაზებისა და რესურსების გამოყენების შესაძლებლობის და მოხმარების წესების შესახებ;

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის „კულტურული ტურიზმის“ საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი

კენჭისყრის შედეგები
მომხრე - 9
მოწინააღმდეგე - 0

აკრედიტაციის დებულების 27[6] მუხლის მე - 2 პუნქტის საფუძველზე საბჭოს მიერ სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის „კულტურული ტურიზმის“ საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

8. მერვე საკითხი: შპს სულხან - საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2019 წლის 30 მაისის N121 გადაწყვეტილება
4	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
5	კვალიფიკაციის დონე	მე-6
6	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში
7	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
8	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	-
9	კვალიფიკაციის კოდი	0203
10	სწავლების ენა	ქართული
11	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
IV12	განხორციელების ადგილი	საქართველო, 0186, ქ. თბილისი, კალისტრატე ქუთათელაძის ქუჩა N3
13	წინა გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	
14	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა	1 წელი
15	ანგარიშის წარმოდგენის თარიღი	2019 წლის 25 ნოემბერი
16	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2026 წლის 30 მაისი

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- კი

დიმიტრი გეგენავა
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობის არსებობა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს სხდომას არ ესწრებოდნენ საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები, შესაბამისად საბჭომ მათი პოზიციის მოსმენის გარეშე იმსჯელა შპს სულხან - საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხზე.
მერვე საკითხის ზეპირი მოსმენა
შპს სულხან - საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭა 2019 წლის 30 მაისის N121 გადაწყვეტილებით.
დაწესებულებას დაევალა შემდეგი რეკომენდაციების შესრულება:

- სასწავლო კურსის სპეციფიკიდან და შინაარსიდან გამომდინარე გადაიხედოს, დაკონკრეტდეს სწავლის შედეგები და დაზუსტდეს შეფასების კრიტერიუმები;
- სტუდენტების მხრიდან საერთაშორისო კონფერენციებში, კვლევისა და საერთაშორისო |პროექტებში მონაწილეობის გაძლიერების ხელშეწყობა;
- ინგლისური ენის კომპონენტის გაძლიერება;

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენაშპს სულხან - საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი

კენჭისყრის შედეგები
მომხრე - 8
მოწინააღმდეგე - 0

აკრედიტაციის დებულების 27[6] მუხლის მე - 2 პუნქტის საფუძველზე საბჭოს მიერ შპს სულხან - საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

სხდომა დაიხურა: 18:22 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბურდული ირაკლი



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
სხდომის მდივანი
თიკანაშვილი ნიკა